



ციტები

№ 78 / 30 მაისი - 5 ივნისი / 2011

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



საციტის გამოშვებები

26.05.2011  
დამოუკიდებლობის 20 წელი



# ლაუარებლალ ლაბალ ფასალ!


ყველაფარი ერთალ  
თქვენი პოვნონისთვის

- ♥ ჯანმრთელობა
- ♥ ჰიგიენა
- ♥ სილამაზე



ყველაზე დიდი ფარმაცევტული საბაზონოა!

სითო ფარმა



CITY PHARMA

მის.: ქოშებავას ქ.75

(მორკინალის ტერიტორია)

Facebook: city pharma – სითო ფარმა



ფოთი იავა საქართველო

**ცოდნაში:**

- 02 „ლიბერალის“  
ვებგვერდიდან  
04 მოკლედ




**06 ორი აზრი**

ვის ეკისრება  
პასუხისმგებლობა  
მსხვერპლზე, რომელიც  
აქციის დარბევას  
მოჰყევა?  
დავით ზურაბიშვილი VS  
გიგა ზედანია

**მთავარი თემა**

- 08 26.05.2011  
18 რა ელით აქციის  
ორგანიზატორებს?  
21 დაკარგულებს  
ისევ ექტენ  
25 ძალადობა  
ურნალისტებზე  
**დამოუკიდებლობის დღე**  
26 აღლუმი 2011  
**ინტერვიუ**  
28 რადიკალიზმი  
საქართველოში წარსულს  
ჩაბარდა  
ირაკლი ალასანია  
**თვალსაზრისი**  
30 აქციის დაშლა –  
სამართლებრივი შეფასება  
თამარ ჩუგოშვილი

- 32 ბურჯანაძე – ხელსაყრელი  
გარემოება  
მარკ მალენი



- 34 გაკვეთილი საქართველოს  
ხელისუფლებისთვის და  
ამერიკისთვის  
გიორგი ცხადაია  
36 განზრას დამახინჯებული  
რეალობა  
ნინო დანელია  
38 მუდმივი მსხვერპლშენირვა  
და „მექსიერების ადგილები“  
დავით ბურიკიძე

**გარეკანზე:**

26.05.2011

ფოტო: სტრინგერი / REUTERS



ურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ  
„ლა საზოგადოება – საქართველოს“  
მხარდაჭერით.

აუტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო  
მასალაში გამოთმული მოსაზრება  
არ გამოხატავს ფონდის „ლა  
საზოგადოება – საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ ის  
პასუხისმგებელი მასალის შენარჩუნებისთვის.

*The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.*

# ჩამოსილებათა 20 ნისტავი

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი



როგორც იქნა, დავრწმუნდი, რომ ერთი ქართველი დეკანოზი, რომელიც ამტკიცებდა დინოზავრები არ გადაშენებულან და ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, მართალი იყო.

როგორც იქნა, მივხვდი, რატომ და-ეთანხმა ჩემი ერთი მეგობარი ამ დეკანოზს და აქედან დასკვნაც გამოიტანა, რომ ქვეყანაში კი არა, იურული პერიოდის პარკში ვცხოვრობთ.

როგორც იქნა, მივხვდი, რატომ უნდებს მეორე მეგობარი ჩვენს საზოგადოებას არა სოციოლოგების, არამედ ანთროპოლოგების კვლევის საგანას.

უფრო გულწრფელი რომ ვიყო, პირდაპირ ვიტყვი, რომ სამივე თეზისის სისწორეში დიდი ხანია ეჭვი აღარ მე-

პარება. თუ ჯერ კიდევ ვერ მიხვდით, რამ დამარწმუნა ამაში, მაშინ ამ ლინგზე შემოიხედთ. (<http://liberali.ge/spets-danishnulebis-razmema-parla>)

ყველაზე შეუმდგარი ქართველი პოლიტიკანების დაანონსებული „რევოლუცია“ ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო და დამოუკიდებლობის მოპირების ზუსტად 20 წლისთავზე ვებერთელა მოჯადოებული ბორბალი თავიდან დატრიალდა. ისევ აქცია-დარბევა-აქცია-დარბევა-აქცია-დარბევა. არადა თავად ან-დარბეულებმა დღეს კინალამ წიხლის ქვეშ გაიგდეს ერთი ადამიანი, ვინც ღიად განაცხადა, ქვეყანას აქციები და რევოლუციები კი არა, სწავლა-განათლება და ერთმანეთის სიყვარული ააშენებსო.

არ ვიცი, რა ან ვინ ააშენებს ქვეყანას, რომლის საზოგადოებას ჯერ ვერ მიუღწევია განვითარების იმ ეტაპა-მდე, რომ დამნაშავე გარეთ კი არა, პირველ რიგში შეგნით, საკუთარ თავში ეძებოს. კონსპირაციები ხომ ასე ძალიან გვიყვარს. ოპოზიციას რომ ჰკითხოთ, ამერიკა ანადგურებს საქართველოს. ხელისუფლებას რომ ჰკითხოთ – რუსეთი. არადა რა მნიშვნელობა აქვს ვის როგორ აქვს ჩაფიქრებული ქვეყნის ბედი გარეთ, მაშინ როცა ნებისმიერ შემთხვევაში შემსრულებელი შიგნიდან თხრის მიწას? რა მნიშვნელობა აქვს, ვისთვის როგორია მიშა, ნინო, პოლიცია, პოზიცია, ოპოზიცია, „რიგითი“ მოქალაქეები თუ სპეციაზმელები? ფაქტია, რომ ავად თუ კარგად ყველანი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომლებიც უკვე მეოცე წელია თავად ატრიალებენ მოჯადოებულ ბორბალს და მარცხის მიზეზებს კი გარეთ დაეძებენ საკუთარი უუნარობის გადასაფარად.

რა მნიშვნელობა, აქვს ვინ აფინანსებს ნინოს ან მიშას, როცა ორივე იმ ქვეყნის, იმ საზოგადოების შვილია, რომელმაც ჯაბა იოსელიანი ისე დაასვენა პანთეონში, რომ ნარბიც კი არ შეტოკებია? რა მნიშვნელობა აქვს, რა „კატეგორიის“ ხალხი იდგა დღეს საპროტესტო აქციაზე, როცა ისინიც იმ საზოგადოების წევრები არიან,

**რედაქტორი:** მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავა / კავკასია და კონფიდენციალური სოფო ბუკა / საზოგადოება თამარ ბაბუაძე /

**ახლო ამბები ნანა სავარა / ვებგვერდის რედაქტორი ნანა ჯაფარშვილი**

**მარკინისტი:** მითა წერაური, მარკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭიათურავა, რუსულან ფანრზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაძებიძე, ნათა გულაიშვილი

**კონსლიტუაცია:** მარკ მალენი, გიორგი ცხადასი, მანანა ვარდაშვილი, ნინია კაპაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედავით, კახა თოლორძავა, ლექსო ჩქარული, დანა ჩაჩუა, ნათა ახალშეილი, ნინო ბერძენილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე

**რედაქტორი:** ფოთო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პატა შამუგა / კორექტორი თამარ ლინდაძე

**გამოცემელი:** პრეცესტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შემიოძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათა რუსაძე /

**დისტრიბუტორი:** შეაბაზ შენგელია

**გამოცემელი:** შეაბაზ შენგელია. მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

**სავა ამაზონები:** „ტელე შენგელი“, „ტელე შენგელი“, „ტელე შენგელი“, „პირზეს: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

**„ლიბერალის“** საცენტრო უფლებები დაცულია.

**უფლება:** გამოქვეყნებულ მასალების ნანილობრივი და/ან მოლილი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**პარტნერი:** სტაბი „საზოგადო“. მისამართი: თბილისი, ნერგეთის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოიცის კორალის ერთხელ, ყველა როშპათს. პირველ ნომერი გამოიცის 2009 წლის მასში. რეკომენდებული საცალი ფასი 2 ლარი.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

ISSN 1987-7528



რომელსაც ჯერ სტალინი ვერ მოუნანიებია? რა მნიშვნელობა აქვს, საზიზღარი მასმედიის წარმომადგენლების განათლების დონეს, როცა მოსახლეობის დიდ ნაწილს მე-5 კლასის გეოგრაფიის წიგნიდანაც კი არ ახსოვს რა ინვეცს მინისძვრას?

ოდნავადაც კი ვერ ვთვლი ალიარების ღირსად ხელისუფლებას და მის მომხრებს, რომელსაც კანონმორჩილება მხოლოდ დარბეული აქციების „გაპრავებისას“ ახსენდება. არ ვაღიარებ არც იმ პოლიტიკანებს, 2007 წელს სპეცრაზმს მადლობას რომ უხდიდნენ ხალხის დარბევისთვის და დღეს [შსს-ს მიერ ჯერ დაუდასტურებელი ინფორმაციით] მისი ესკორტი თავად კლავს პოლიციელს ხალხის დარბევისას. არ მჯერა არცერთი პოლიტიკოსის, რომელიც „ხალხის ნებით“ საუბრობს, რადგან ეს ხალხი მათთვის საშუალებაა და არა მიზანი. აბსურდა ის „დემოკრატიაც“, რომელიც სავაჭრო მარკად იქცა და მისი მყიდველები

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უახლოეს ნაგვის ყუთში მოისვრიან ნახმარი ცხვირსახოცივით. აბსურდია ის თავისუფალი მასმედიაც, ერთი მხარე რომ „სავარაუდოდ მოკლულ“ აქციის მონაწილეს გლოვობს მხოლოდ, მეორე – მოკლულ პოლიციელს. აბსურდია ადამიანი, რომელიც ლიდერებმი, მესიებში, პატრიარქებსა და პრეზიდენტებში ექებს ერთადერთ ხსნას, ხელის და ტვინის განძრევა კი არ უნდა, რომ თვითონ შეიქმნას მომავალი. აბსურდია საზოგადოება, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ აბსურდებს შობს და მაინც სხეაგან, გარეთ ცდილობს ქვეყნის დამღუბელი სატანის ძიებას. საერთოდაც, აბსურდია ის ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობის 20 წლის თავის ღამეს ისეთივე მეთოდებით „აღნიშნავს“, როგორც 20 წლის წინ, ჯერ კიდევ ამ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ჰოდა, არ მნამს არც ასეთი ქვეყნის, არც ასეთი საზოგადოების და არც

ასეთი დამოუკიდებლობის. ეს დამოუკიდებლობა კი არა, ჩამოყიდებულებაა – საკუთარ უუნარობაზე. აბა, ჩამოყიდებულობის 20 წლის თავი რა მოსალოცი ამბავია?

ხო მართლა, კინალამ დამავინტდა, ნაწყვეტი დღევანდელი აღლუმის ოფიციალური პროგრამიდან:

„პირველად აღლუმების ისტორიაში, ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილების“ შესრულებით ცეკვა „ხორუმი“ დაასრულებს. „ხორუმს“ სუხიშვილები საქართველოს შეიარაღებული ძალების საველე – სამხედრო ფორმებში შესარულებებს. ცეკვის დასასრულს ვერტმფრუნიდან ჩამოყიდან კანფეტებს და ტრიბუნების მიმდებარე ტერიტორიიდან ჰაერში ბუშტებს გაუშვებენ“.

ვისაც მართლა გვინიათ, რომ ხვალ საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის თავს აღნიშნავთ, ეს ფოტო თქვენ, ისე, უბრალოდ, საზეიმო განწყობისთვის, წუხანდელი „აღლუმიდან“. **ც**

## *Radio Commersant*

marketing@commersant.ge  
+995 32 505 955



ბიზნესის პარსონალური რალიო

*Commersant.ge*



ფოტო: სამართლებრივი სამსახური

## საქართველოს ბამოხარება

საქართველოში 26 მაისის ძალადობრივ დაშლას რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია გამოქმაურა. ორგანიზაცია Human Rights Watch-ის განცხადებით, „მიუხედავად იმისა, საქციირებული იყო თუ არა თბილისში გამართული დემონსტრაცია, ვერაფერი გამართლებს მშვიდობიანი მომიტინგების მასობრივ ცემას. პოლიცია პასუხისმგებელია მშვიდობიანი მომიტინგების ცემაზე. მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს დეტალური და დამოუკიდებელი გამოძიება გადამეტებული და დისპროპორციული ძალის გამოყენების გამო. საქართველო არის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას შეერთებული მხარე, რაც მის მთავრობას აკისრებს მოვალეობას, პატივი სცეს სიტყვის და შეკრების თავისუფლებას“. ორგანიზაცია Amnesty International საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, სასწავლოდ გამოიძიოს სამართალდამცავების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები: „ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს ბრალდებები, რომლებიც პოლიციის

მიერ ანტისახელისუფლებო საპროტესტო აქციებზე ძალის გადამეტებით გამოყენებას ეხება, რის შედეგადც თრი ადამიანი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ზოგიერთი მონანილე ფარებით და დროშის ტარებით იყო შეიარაღებული, სავარაუდოდ, მოსალოდნელი დარბევისას წინააღმდეგობის განვევის მიზნით, პოლიციას არ ჰქონდა მათი ცემის უფლება. უნდა ჩატარდეს გამოძიება, რომელიც ამ ინციდენტებს და ინდივიდუალური ოფიცირებისთვის მიცემულ ინსტრუქციებს გამოიკვლევს“. საგანგებო განცხადებას აქვეყნებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც. „ჩვენ შემუშავებულები ვართ პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებულად და არათანაბარზომიერად გამოყენების გამო. ხელისუფლებამ სრულად, სარწმუნოდ და გამჭვირვალედ უნდა გამოიძიოს მომხდარი და საზოგადოებას დროულად მიაწოდოს შედეგები. ამავდროულად, ყველა მხარეს სიმშვიდისკენ და დაძაბული სიტუაციის კიდევ უფრო ესკალაციისგან თავის შეკავებისკენ მოვუწოდებთ,“ – ნათქვამია განცხადებაში.

### ავლანეთში ქართველი სახელმწიფო ცლმას აფეთქება

27 მაისს სერეჯანტი ლავროსი ივანიაძე ნალმზე მამინ აფეთქდა, როდესაც ჰელმინდის პროვინციაში პატრულირებდა. ის ავლანეთში ISAF-ის სამშვიდობო მისამში 33-ე ბატალიონის შემადგენლობაში მსახურობდა. 2007-2008 წლებში ივანიაძე ერაყშიც იმყოფებოდა. 2009 წლიდან დღემდე ავლანეთში სულ 8 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. ქართველი სამხედროების რაოდენობა 2010 წლის აპრილიდან ავლანეთში დახლოებით 950-ია. მათ უახლოეს პერიოდში საარტილერიო ინსტრუქტორთა ჯგუფიც დაემატება.

### ოკონისიამ სახებულოს სხემა ლაშვა

„რესპუბლიკულმა“ თინა სიდემელმა თბილისის საკრებულოში 26 მაისს მომიტინგეთა დაშლასათან დაკავშირებული საკითხების გამოსაძიებლად დროულით კომისიის შექმნის საკითხი დაყენა. თუმცა, კერძისყრის შედეგად, ეს თემა ცერ გავიდა. ოპოზიციური პარტიების წევრებმა პროტესტის ნიშანად სხდომა დატოვეს. თინა სიდემელის განცხადებით, იმას, რაც რესტავრაციის გამზირზე მოხდა, კვალიფიციური გამოძიება სჭირდება. უმრავლესობაში კი აღნიშნეს, რომ დამტებითი კომისიების შექმნა საჭირო არ არის, რადგან საკრებულოში ადამიანის უფლებათა კომიტეტი მუშაობს.

## "მჩისხანების ღლა" ახ შეიძა



ირაკლი ოქრუჟიშვილი მართვის პირობა, რომ 25 მაისს ქართველი ხალხის გვერდით, ავლაპრის მოედანზე დადგებოდა, არ შეასრულა. დანაბირების შესრულებაზე უარი თქვეს „ქართულ პარტიაშიც“. მათ „მრისხანების დღე“ გააუქმეს, რომელიც 25 მაისს უნდა ჩატარებულიყო და სააკადემიის ხელისუფლების დასრულებას ისახავდა მიზ-

ნად. მიზეზად პარტიაში ნინო ბურჯანაძეს-თან ერთობლივი აქციის ჩატარების შესახებ შეუთანხმებლობა დაასახელეს. „ქართული პარტიის“ საპასუხოდ ბურჯანაძემ აქცია 25 მაისს არა ავლაპრის მოედანზე, არამედ თავისუფლების მოედანზე დანიშნა. „ქართულ პარტიაში“ განაცხადეს, რომ ორი სხვადასხვა მიტინგით საზოგადოების დაბნევა არ სურდათ და საკუთარი საპროტესტო აქცია გააუქმეს. თუმცა პარტიის ორი ლიდერი – ლევან გაჩეჩილაძე და კოკა გუნცაძე დამოუკიდებლად შეუერთდნენ აქციას.

## "ოპოზიციური ჩვიუნი" პასუხისმგებელობას ხელისუფლებას აცილებს

საარჩევნო კანონმდებლობაზე მომშუავე იპოზიციურმა ჯგუფმა ხელისუფლება მომიტინგეთა წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალის გამოყენებაში დაადანაშაულა. „აქციის დაბობება მიზნად ისახავდა არა დემონსტრაციის კანონირად დაშლას, არამედ აქციის რაც შეიძლება მეტი მონაწილის დაკავებას, ფიზიკურ ანგარიშსწორებას და სამაგალითო დასჯას“, – წერია განცხადებაში.

რვა პარტიის წევრებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლების შეცვლის რევოლუციურ გზას მომავალი არ აქვს და მას გაუმართლებელი რისკები ახლავს თან. მათი განცხადებით, საქართველოს მომავლის დაცვა დღვევანდელი ხელისუფლებისა და რევოლუციური რევებისაგან მხოლოდ არჩევნებთათა შესაძლებელი. „იპოზიციურმა რეანიმა“ საზოგადოებას კონსოლიდაციისა და ერთიანობისკენ მოუწოდა.

## სახალხო ღამეთა განსხვება

სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა მინისტრს მოუწოდა, 26 მაისის ღამით დაკავებულ პირებს ოჯახებთან და ადგომატებთან დაკავშირების საშუალება მისცენ და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყონ.

„დაკავებულია რამდენიმე ათეული პირი. თუმცა მათგან რამდენიმე ათეული პირის ადგილსამყოფელი დაღმდე უცნობია. გამომძიებულება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეატყობინეს დაკავებულების ოჯახებს“, – წერია სახალხო დამცველის

განცხადებაში.

სახალხო

დამცველმა

დაკავებულები

რი რამდენიმე

იზოლატორში

მოინახულა და განაცხადა, რომ პატიმრებს ეზღუდებათ დაცვის უფლება, მათი ოჯახის წევრები კი მოკლებული არიან შესაძლებლობას, იცოდნენ სად არიან მათი ახლობლები.



### ჩილები

**6**  
პროცენტია საქართველოს ეკონომიკური ზრდა პირველ კვარტალში.

**33**

პროცენტიამდეა შემცირებული „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი.

**90-მდე**

ადამიანი დაკავების 26 მაისის ღამეს.

### ციტატა



„ეს [ძალადობა] არ არის შესაბამისი გზა იმ გამოწვევების მოსაგვარებლად, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას.“

ჯონ ბასი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში

„აღლუმის არჩატარება ისევე ჰქონდა დაფიცებული ერთ ადამიანს, როგორც ჩემი ერთი ადგილით ჩამოკიდება ამ რამდენიმე წლის წინ!“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი

„აქციაზე დაშლის დროს დაპატიმრებულთა გამო შეამდგომლობით მივმართავ ხელისუფლებას, რათა მათ მიმართ სასჯელი იყოს ლმობიერი.“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.



## ხელისუფლებას

დავით ზურაბიშვილი

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი

ხშირად მახსენდება ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი: „მრუ-დე სარკების სამეფო“. მახსენდება იმიტომ, რომ თავად საკითხის დასმა: ვის ეკისრება პასუხისმგებლობა 26 მაისის ღამეული დარბევის შედეგების გამო, მხოლოდ გამრუდებულ რეალობაში შეიძლება მოხდეს. ნორმალურ ქვეყანაში, ნორ-მალურ საზოგადოებაში, სადაც ელემენტალური მორალური კრიტერიუმები და საღი აზრი მოქმედებს, ასეთი კითხვა არ დაისმებოდა.

„სახალხო კრებამ“, რომლის პოლიტიკური ლიდერიც გა-ხლავთ ნინო ბურჯანაძე, 24 მაისს გამოაცხადა, რომ სახალხო კრება ჩაშლიდა რუსთაველზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმს.

„სახალხო კრების“ ლიდერები სრულიად შეგნებულად მი-დიოდნენ კონფრონტაციაზე. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ხელისუფლება ღონისძიებას არ გადადებდა და საჭიროე-ბის შემთხვევაში, ძალასაც გამოიყენებდა.

ამიტომაც, შემდგომ მოვლენებზე პასუხისმგებლობის წილი, ცხადია, ნინო ბურჯანაძეს და „სახალხო კრებას“ ნამდვილად ეკისრება.

მაგრამ, რა არის ხელისუფლების ფუნქცია? ის, რომ დაუ-ბრკოლებლად შეუშვას აღლუმის ჩატარების ადგილზე მომი-ტინგები, რომლებიც, როგორც წინასწარაა გაცხადებული, არ აპირებენ დაშლას? რომ დაახლოებით ათასი მომიტინგე ალყა-ში მოაქციოს ათი ათასამდე პოლიციელმა და სპეცრაზმელმა და აქციის დაშლის დროს არ დაუტოვოს მათ გასასვლელი? რომ ათეულობით ადამიანი ორი-სამი დღე უგზოუკვლოდ იყოს დაკარგული და ისიც არ იყოს ცნობილი, ცოცხლები არიან თუ დაპატიმრებულება? რომ წაიყვანოს აქციის მონაწილეები მუ-ხათგვერდის სასაფლოზე, ხელ-ფეხი ბორკილებით შეუკრას და ლამის მიასიკვდილოს ცემით? რომ შენობებში შეფარებუ-ლი მომიტინგები ცემა-ტყეპით გამოათრიოს გარეთ და მერე დატყვევებული ტერორისტებივით ჩამოატაროს ქუჩაში?

თუ ხელისუფლების ფუნქციაა, თავიდან აიცილოს დაპირის-პირება და თუ ძალის გამოყენება მოუწია, მიზანი ტერიტორიის გათავისუფლება იყოს და არა მომიტინგების დატერორება? ხომ შეეძლოთ 25-ში დილითვე გადაეკეტათ რუსთაველის გა-მზირი და არ მიეშვათ მომიტინგები პარლამენტის შენობას-თან? თუ „მტერი“ შემოიტყუეს და მერე გაათმაგებული ძალით დაარტყეს?

საზოგადოებაში, სადაც ელემენტალური მორალური კრიტე-რიუმები და საღი აზრი მოქმედებს, კამათს არც უნდა იწვევ-დეს, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობის ტვირთი შეუდა-რებლად, განუზომლად მეტია.

მაგრამ ჩვენ ხომ მრუდე სარკების რესპუბლიკაში ვცხო-ვრობთ. ც.



## 30ს ცალსის პასუხისმომავლის აცილების სასახლი

■ რა არის ხელისუფლების ფუნქცია? ის, რომ დაუბრკოლებლად შეუშვას აღლუმის ჩატარების ადგილზე მომიტინგები, რომლებიც, როგორც წინასწარაა გაცხადებული, არ აპირებენ დაშლას? რომ დაახლოებით ათასი მომიტინგე ალყა-ში მოაქციოს ათი ათასამდე პოლიციელმა და სპეცრაზმელმა და აქციის დაშლის დროს არ დაუტოვოს მათ გასასვლელი? რომ ათეულობით ადამიანი ორი-სამი დღე უგზოუკვლოდ იყოს დაკარგული და ისიც არ იყოს ცნობილი, ცოცხლები არიან თუ დაპატიმრებულება? რომ წაიყვანოს აქციის მონაწილეები მუ-ხათგვერდის სასაფლოზე, ხელ-ფეხი ბორკილებით შეუკრას და ლამის მიასიკვდილოს ცემით? რომ შენობებში შეფარებუ-ლი მომიტინგები ცემა-ტყეპით გამოათრიოს გარეთ და მერე დატყვევებული ტერორისტებივით ჩამოატაროს ქუჩაში?

გაცხადებული, არ აპირებენ დაშლას? რომ დაახლოებით ათასი მომიტინგე ალყაში მოაქციოს ათი ათასამდე პოლიციელმა და სპეცრაზმელმა და აქციის დაშლის დროს არ დაუტოვოს მათ გასასვლელი?



## ამბებობა მსხვილი, ესტენას მოჰყვა?

■ აქციის ორგანიზატორების გეგმაში, როგორც ამას ნებისმიერი სალი აზრის მქონე ადამიანი ხვდებოდა და ფარული ჩანაწერიდანაც გამოჩნდა, ადამიანური მსხვერპლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა; აქციის ლიდერთა და მონაწილეთა რიტორიკა, 21 მაისიდან მოყოლებული, აგებული იყო ძალადობის შესაძლებლობის დაშვებაზე;



### ოკოზიცია

გიგა ზედანია  
ფილოსოფოსი

26 მაისის აქციის დაშლისას გამოწვეული მსხვერპლი ერთმნიშვნელოვნად აქციის ორგანიზატორების ბრალია.

1. აქციის ორგანიზატორების გეგმაში, როგორც ამას ნებისმიერი სალი აზრის მქონე ადამიანი ხვდებოდა და ფარული ჩანაწერიდანაც გამოჩნდა, ადამიანური მსხვერპლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა;

2. აქციის ლიდერთა და მონაწილეთა რიტორიკა, 21 მაისიდან მოყოლებული, აგებული იყო ძალადობის შესაძლებლობის დაშვებაზე;

3. აქციის მონაწილეთა ქმედებები, 21 მაისიდან მოყოლებული, შეიცავდა ძალადობის ელემენტებს;

4. აქციის ორგანიზატორები არ დამორჩილდნენ კანონის მოთხოვნას, შეენცვიტათ დემონსტრაცია შესაბამის დროს და არ დათანხმდნენ ხელისუფლების შეთავაზებას, გადაეტანათ მიტინგი სხვა ადგილას;

5. აქციის ორგანიზატორებმა გაქცევისას საკუთარი მანქანებით გადათელეს ადამიანები და გამოწვეულის ორი ადამიანის სიკვდილი. სხვა მსხვერპლის შესახებ ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური მსხვერპლის წარმოშობაში ხელისუფლებას დანაშაული არ მიუძღვს, მთელ ამ პროცესში ხელისუფლების მიერ ორი ძრითადი შეცდომა იქნა დაშვებული:

1. ძალის გადაჭარბებული გამოყენება აქციის დაშლისას. შეცდომის გამოსასწორებლად აუცილებელია ამ საკითხის გამოძიება და დამარავეთა დასჯა;

2. აქციის ორგანიზატორების დანაშაულის იგნორირება. ეს ფასს უკარგავს გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერების მნიშვნელობას და ქმნის განცდას, რომ ზოგიერთი ადამიანი ხელშეუხებელია. შეცდომის გამოსასწორებლად აუცილებელია სამართლებრივი პროცედურების დაწყება ნინო ბურჯანაძისა და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ.

აქვე ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა: კარგი იქნებოდა, დამოუკიდებლობის დღის აღინიშვნის ფორმა რომ შეგვეცვალა. ამ დღეს მთავარი მოქმედი პირები აღარ უნდა იყვნენ ჯარი და პრეზიდენტი. ამის მაგივრად ზემზე უნდა გამოჩნდნენ მოხალისები, მოცეკვავეები, მსახიობები, რომლებიც თეატრალურ სანახაობებს გამართავენ. ამ გართობაში სამხედრო-რიტუალური მსვლელობა შეიძლება ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ელემენტი იყოს. თუ ამ ცვლილებას მივაღწევდით, შეუძლებელი გახდებოდა დამოუკიდებლობის დღეს ხელისუფლების დაშანება მიტინგებით, რადგან ხელისუფლება აღარ იქნებოდა ზემის მთავარი გმირი. ■



# 26.05.2011

15 სამარშრუტო ტაქსი, რამდენიმე ავტობუსი და ათეულობით ჯიპი მოწმობდა, რომ  
ცოტა ხნით ადრე დიდი სპეციალური ძალები ჩატარდა. სამარისებური სიჩქმე კი იმას  
მიანიშნებდა, რომ მიზანი მიღწეული იყო.

მარი ნასყიდაშვილი



ფოტო: სამება გეგენავა / REUTERS



აუტო ჩატაუს კონკრეტული

25 მაისს, დღის 3 საათისთვის, ტელევიზიის შენობასთან ხუთდღიანი პროტესტის შემდეგ, „სახალხო კრების“ მხარდამჭერები კოსტავას ქუჩიდან რუსთაველის გამზირისკენ დაძრნენ.

გზად დროშებითა და „მიშა, წადი“ ტრანსპარანტებით აღჭურვილი მომიტინებები პატრიოტულ სიმღერებს მღეროდნენ და ერთმანეთს ამხნევებდნენ. ლიდერებმა მათ უთხრეს, რომ

25 მაისს იქნებოდა „გადამწყვეტი ბრძოლა“.

რუსთაველზე მისულმა რამდენიმე ათასმა (სხვადასხვა შეფასებით, 2-დან 4 ათასამდე) დემონსტრანტმა 26 მაისის აღლუმისთვის ნახევრად აწყობილი სცენა და რუსთაველის გამზირი დიკავა და გადამწყვეტი მიტინგისთვის სამზადის შეუდგა.

ჩაირთო მიკროფონები, დაიდგა ტრი-

ბუნები. ჩაირთო ამ აქციების სიმბოლოდ ქცეული იტალიური რევოლუციის სიმღერა „ბელა ჩაო“. ვიდრე გამომსვლელები მომიტინგებს პატრიოტული ლოზუნებით ამხნევებდნენ, აქციის მონაწილეთა ნაწილმა პარლამენტის გარშემო პერიმეტრის შემოსაზღვრა დაიწყო – დგამდნენ რკინის ღობებს, რითაც, პრაქტიკულად, ჩაკეტეს გასასვლელები მიმდებარე ქუჩებისკენ.



„არ დავნებდებით“, „არ დავიშლებით“ ისმოდა მომიტინგებებს შორის.

მთელი საღამოს განმავლობაში ქუხდა და ელავდა. ღამის 10 საათის-თვის წამოსულ კოკისპირულ წვიმას დემონსტრაციები ხეების ქვეშ, მიწის-ქეშა გადასასვლელებში ან აქციის ორგანიზატორების მიერ დარიგებულ პოლიეთილენის პარკებში აფარებდნენ თავს.

მამაკაცების ნაწილმა 26 მაისის აღლუმისთვის გამზადებული სცენის დაშლა დაიწყო. ხის ნაჭრებს მომიტინგები ერთმანეთში ინაწილებდნენ. ვიღაცები რეკინის ლობებებს ტიხჩებს აცლიდნენ, ზოგი ქვაფენილიდან აყრილ ქვეშ არიგებდა. „ეს თავდაცვისთვის გვჭირდება“, – ამბობდნენ მომიტინგები.

ხალხი ემზადებოდა „სააკაშვილის პოლიციასთან“ ბრძოლისთვის. „ჩვენ საბჭოთა პოლიციას მოვერიეთ 9 აპრილს და სააკაშვილის პოლიციას ხომ უფრო ადვილად გაუმტკლავდებით“, – ამბობდა ერთ-ერთი მომიტინგები მამაკაცი.

ნინო ბურჯანაძემ რამდენიმე საათით დატოვა აქცია და დაახლოებით 11 საათისთვის კვლავ შემოუერთდა მომიტინგებს. ის გამოჩნდა თავის და-

მხარდამჭერებს, არ მიეცათ აღლუმის ჩაბარების უფლება „მხდალი მთავარ-სარდლისთვის, რომელიც ვერტმტფრენის გამოჩენაზე მიწაზე ფორთხავდა“ და რომ „აღლუმი ხალხს უნდა ჩაებარებინა“.

რაც უფრო ახლოვდებოდა შუაღამე, მით უფრო ხშირად ამხნევებდა იგი ხალხს. მის გამოსვლებში მატულობდა საბრძოლო რიტორიკა. იგი უუბნებოდა დამსწრებებს, რომ ახლა გამოჩნდებოდა „როგორი ბრძოლა შეუძლიათ ქართველებს“ და თუ შეუძლიათ ბრძოლა „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“.

მომიტინგებთა განლაგება სულ უფრო ორგანიზებული ხდებოდა: შუაში მოხუცები და ქალები დადგნენ; განაპირას – რუსთაველის გამზირზე და გადამკვეთი ქუჩების დასაწყისში – შედარებით ახალგაზრდები და შუა ხნის მამაკაცები განლაგდნენ, რომელთაც ხელში პლასტმასის ან ხის ჯოხები ეჭირათ, ასევე ხის (დე-ეს-პე-ს) ხელნაკეთი ფარები. რკინის ლობებები, რომელიც ქუჩის დასაკეტად იყო დადგმული, უფრო მჭიდროდ დაალაგეს, გასასვლელი ყველა მხრიდან დაიკეტა.

კოკისპირული წვიმა არ წყდებოდა.

**■ რაც უფრო ახლოვდებოდა შუაღამე, მით უფრო ხშირად ამხნევებდა ბურჯანაძე ხალხს. იგი უუბნებოდა დამსწრებებს, რომ ახლა გამოჩნდებოდა „როგორი ბრძოლა შეუძლიათ ქართველებს“ და თუ შეუძლიათ ბრძოლა „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“.**

დაიკეტა რუსთაველის, ჩიტაძის, ლესია უკრაინებას და ჯორჯაძის ქუჩები. რაც უფრო ახლოვდებოდა საღამო, მით უფრო მატულობდა მღელვარება მომიტინგებები და უფრო მხურვალე ხდებოდა გამომსვლელთა სიტყვები. იგივე მუხტი იგრძნობოდა მომიტინგებეთა შორის; „ჩვენ ბოლომდე ვიპრძოლებთ“, – თქვა ერთმა მომიტინგებმ და თავის პლასტმასის მილზე მიანიშნა.

ცვასთან ერთად. მას რამდენიმე ადამიანი ტაშით შეეგება, თუმცა ეს არ ყოფილა საყოველთაო სიხარული და აღფრთოვანება. სცენაზე დაბრუნებული ყოფილი სპიკერი მუდმივად ახსენებდა დამსწრებებს, რომ მათ ჰქონდათ კონსტიტუციური უფლება, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეკრებილიყვნენ და ნებისმიერი ქუჩა გადაეკეტათ. ის მოუწიდებდა თავის

როცა ფოტოებს ვიღებდი, დემონსტრაციმა, რომელიც ქაშუეთის წინ ფილაქის ქვებს ალაგებდა, დამიყვირა: „რა დროს გადალებაა, ვერ ხედავ, ომი ინყება?!“ სხვები გამალებით ურტყამდნენ ჯოხებს ხელნაკეთ ფარებს და ეს ხმაური, ქექა-ქუხილის ხმასთან ერთად, იმ წუთებს უფრო მეტ დრამატულობას სძენდა.

12-ს წუთები აკლდა, როცა პოლი-

# მთავარი თემა

## ■ 12 საათი და 15 წუთი იყო, როცა „თბილისი

მარიოტთან“ მდგომი სპეცრაზმელები დაიძრნენ. მათი ნაბიჯების ფონზე ისმოდა „საქართველოს გაუმარჯოს“. ორიოდე წუთში წყლის ჭავლის მანქანამ მომიტინგეთა დარბევა დაიწყო. მაშინვე მომიტინგეთა რიგებში დაეცა პირველი ცრემლსადენი კაფსულები.

ციელთა პირველი რაზმი რუსთაველზე გამოჩნდა. ისინი სამ რიგად იდგნენ მთელი გამზირის სიგანეზე, მათ წყლის ჭავლის მანქანა მოჰყვებოდა. რამდენიმე წუთში სპეცრაზმი პარლამენტის შენობას ყველა მხრიდან მოადგა – ლესია უკრაინკაზე და ჩიტაეზე, ქაშუეთის ორივე მხარეს. პოლიციელები იყვნენ გამაგრებულები საკრებულოს შენობასთანაც.

პოლიციელთა ჩაფეხუტები ქუჩის განათების ფონზე ლაპლაპებდა, რაოდენობის დათვლა შეუძლებელი იყო.

მომიტინგები მიხვდნენ, რომ ალყაში მოექცენ. კოკისპირული წვიმა არ წყდებოდა.

12 საათზე ლიდერებმა მომიტინგე-

ბს დამოუკიდებლობის დღე მიუღოცეს, ჩაირთო სიმღერა „ხმალი ავლესოთ“. ერთ-ერთი ბოლო გამომსვლელი ნინო ბურჯანაძე იყო, მან პატრიარქს მოუნიდა, „გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა“ და „ხელისუფლება გონს მოეყვანა“. ამას მოჰყვა რამდენიმე წუთიანი სიჩქმე.

დაახლოებით 12 საათი და 15 წუთი იყო, როცა „თბილისი მარიოტთან“ მდგომი წლის ჭავლის მანქანა და სპეცრაზმელები დაიძრნენ. სპეცრაზმელთა ნაბიჯების ფონზე ისმოდა „საქართველოს გაუმარჯოს“. ორიოდე წუთში წყლის ჭავლის მანქანამ მომიტინგეთა დარბევა დაიწყო. მაშინვე მომიტინგეთა რიგებში დაეცა პირველი ცრემლსადენი კაფსულები.



## ასეის ლაშის ერთს ელოკაციები

შეს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, აქციის დაშლის დროს ორი ადამიანი დაიღუპა – შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ლეიტენანტი ვლადიმერ მასურაშვილი და ყოფილი პოლიციელი, 54 წლის ნოდარ ცხადაძე.

თუმცა, 27 მაისს სალამოს თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი მამაკაცის გვამი იპოვეს. ერთ-ერთია 49 წლის ნიკა კვინტრაძე, რომელიც 26 მაისს მიტინგზე იმყოფებოდა და შემდეგ უგზოუკვლიდ დაიკარგა. პარასკევს დღით, როცა „ლიბერალი“ დასაბუქდად მზა-

დდებოდა, უცნობი იყო მეორე გარდაცვლილი მამაკაცის ვინაობა, რომელიც სავარაუდო, ასევე მიტინგის მონაწილე იყო.

„2011 წლის 26 მაისს 00:10 საათზე, ნინო ბურჯანაძემ, თავის თანმხელე პირებთან ერთად, ავტომობილების საშუალებით, მიატოვა რუსთაველის გამზირზე პარლამენტის წინ განთავსებული სცენის მიმდებარე ტერიტორია. ნინო ბურჯანაძის ესკორტი

გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, რა დროსაც ესკორტის ორი მანქანა შეეჯახა

შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ლეიტენანტი ვლადიმერ მასურაშვილი და მოქალაქე ნოდარ ცხადაძე. ასევე სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო რამდენიმე მოქალაქემ, მათ შორის, ოთხმა პოლიციელმა, რომელთაგან ერთ-ერთის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა“, – ნათევამია შეს-ს განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი ამბობს, რომ ორივე ცხედარი ერთმანეთის სიახლოეს არის ნაპოვნი

და ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ნოდარ ცხადაძეც „იმ ავადსახსნებელ ესკორტს ემსხვერპლა“, რომელსაც ვლადიმერ მასურაშვილი.

შეს-ს ინფორმაციით, ორივე ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. ექსპერტი ირაკლი ბახტაძის განცხადებით, გარდაცვლილების ნეკების მოტეხილობები აღნიშნებათ, რაც მანქანის დარტყმის შედეგია.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ მსხვერპლობან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას არ აპირებს,



ფოტო: გიორგი გურიაშვილი

რადგან, ტელევიზიონის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ასახული 4 მანქანიდან ბოლო ორი მის ესკორტსა არ ეკუთვნის.

ბურჯანაძე ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, ნოდარ ცხადაძე ქაშუეთთან ახლოს გარდაიცვალა, იქ, საიდანაც სპეცრაზმა დაიწყო შეტევა და რომ ექიმების შეჯახების შედეგად, არამედ გულის უკმარისობით დაიღუპა, რაც მხეთავმა გაზმა გამოიწვია.

ბურჯანაძემ ისიც განაცხადა, რომ მზად არის, ესკორტის მანქანები ესკორტიზაზე წარადგინოს. „ეს მანქანები არ ვიცი, ვის ეკუ-

თვნის და არ ავიღებ პასუხისმგებლობას. ყველა ჩვენს მანქანაზე მზად ვარ, ამ წუთასვე ჩატარდეს ექსპერტიზა“.

ტელევიზიონის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანს, როგორ ტოვებს 6 მანქანა თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიას. მანქანები რამდენიმემტრიანი დისტანციის დაშორებით ერთ ხაზზე მიქრიან. კაფიში ჩანს, რომ ერთ-ერთი მანქანა შავებში ჩატარებულ ადამიანს რამდენიმე მეტრის მანძილზე მიათოვეს და ბოლოს, სხეული მინაზე ეცემა.

ცხადაძის და მასურაშვი-

ლის აქციის დაღუპვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაკავებული არიან ივანე ჩილვინაძე და ზაქარია ზურბავილი. შსს-ს განცხადებაში ნათევა-მია, რომ თანმხლებ პირებთან ერთად მათ პოლიციას ნინააღმდეგობა გაუწიეს. სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლით არის აღმდეგული – „სატანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც სიკვდილი გა-მოიწვია“. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბურჯანაძის თანა-შემწეს და პარტიის აქტივისტს 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელით.

54 წლის ნოდარ ცხადაძე ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში ცხოვრობდა. ის „ლეი-ბორისტული პარტიის“ სოფელ სვირის კოორდინატორი იყო. გა-ვრცელებული ინფორმაციით, ის პოლიციიდან ნამოსვლის შემდეგ ნოდარ ცხადაძე ოჯახურ მეურნეობას მისდევდა.

ნოდარ ცხადაძის და ვლადიმერ მასურაშვილის გარდაცვალების ფაქტზე დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა არ არსებობს.

მანანა ვარდაშვილი

## ეთავარი თვეა



ამერიკული სამართლი / REUTERS





ფოტო: ლეიკონი / REUTERS

რამდენიმეწამიანი ქაოტური წინა-აღმდეგობის შემდეგ მომიტინგებმა გაქცევა დაიწყეს. მათ, პრაქტიკულად, არ გამოუყენებიათ არც ქვები, არც თვითნაკეთი ხელნაკეთები და ფარები. ყველა გარბოდა.

სპეცრაზმი თანაბარი ნაბიჯით მოიწევდა წინ, ალყაში მომწყვდეული „ბი ბი სი“-ს კორესპონდენტი მათ ხელებანეული მიუჟახლოვდა, თუმცა მუ-

კლუბუნი მაინც დაიშასხურა და მას შემდეგ, რაც დაიყვირა „ბი ბი სი“, ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა ინგლი-სურად მოუბოდიშა და მეგობრულად გაატარა.

ალყაში მოქცეულმა ხალხმა არ იცოდა, სად წასულიყო. ნაწილი ცდი-ლობდა ქაშუეთის ეკლესიის უკან და-მალულიყო. მეც ამ ნაწილთან ერთად აღმოვჩნდი. მას შემდეგ, რაც ღობეს

გადავახტით და ალექსანდრეს ბაღთან აღმოვჩნდით, 2 წუთის წინანდელი გა-მაყრუებელი ხმაური უკვე აღარ ისმო-და. ისევ რუსთაველსკენ მიგბრუნდი სირბილით და იქ პოლიციელების მეტი უკვე არავინ დამხვდა. რუსთაველის თეატრის მხარეს პოლიციელთა ჯგუ-ფები თითო-ოროლა მომიტინგეს მის-დევნენ.

ღამის პირველი საათისთვის ყვე-



ლაფერი დამთავრებული იყო. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას მთლიანად პოლიცია აკონტროლებდა. თავისუფლების მოედანი პოლიციელთა აღლუმს მოგაგონებდათ – პოლიციელები, დაცვის პოლიციელები, სპეცრაზმი და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სხვა პირები ჯგუფებად იდგნენ. 15 სამარშრუტო ტაქსი, რამდენიმე ავტობუსი და ათეულობით

ჯიპი მოწმობდა, რომ ცოტა ხნით ადრე დიდი სპეციალური არატარდა. სამარისებური საჩუმე კი იმას მიანიშნებდა, რომ მიზანი მიღწეული იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსის განცხადებით, სულ 2000 პოლიციელი იღებდა მონაწილეობას სპეციალური არატარდა მისმა მთავარმა მტერმა ვლადიმირ პუტინმა გააკეთა.

ბაზარი DER STANDARD, მაქს ბერნარდი

„დასავლეთზე ორიენტირებული საქართველო ერთი ადამიანის თეატრად რჩება, რაც ქვეყნისთვის ტრაგედია“  
საქართველოს ბევრი ლირსება, თუმცა ბევრი ნაკლიც აქვს, მაგალითად, ზატალური მიღრეკილება დრამატულობისა და უკომპრომისობისადმი. ოცნლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში ეს კავკასიური რესპუბლიკა პოლიტიკური გადატრიალებების და კონტრევოლუციურ რეჟიმში ცხოვრობს. ოპოზიციის სიჯიუტეს, რომელიც პარლამენტის ნაცვლად ქუჩაში მოქმედებს და სულ უფრო კარგავს საზოგადოების მხარდაჭერას, თბილისში ორი ადამიანის სიცოცხლე შეენირა. ისინი ოპოზიციის ესკორტმა იმსხვერპლა. ქართველების დიდი უმრავლესობა დღეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს. რამდენიმე წლის წინ ცხადი არ ყოფილა, რომ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი სააკაშვილი ავტორიტარულ მეთოდებს მიმართავდა და ქუჩაში დემონსტრაციებს ძალით ჩაახშობდა. 2008 წლის რუსეთთან ხანმოკლე ომმა ქართველები კვლავ დაახლოვა ერთმანეთს.

საქართველო დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანაა, მაგრამ ის კვლავ ერთი ადამიანის თეატრად რჩება, რაც ქვეყნისთვის ტრაგედია. სააკაშვილს შესაძლო მემკვიდრე და თანაბარი წონის კოლეგები არ ჰყავს. თავად ქვეყნის შიგნით დღეს გარდამავალი პერიოდია: სააკაშვილი არაფერს ამბობს იმაზე, დაბრუნდება თუ არა ის საპრეზიდენტო ვადის ამონურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრად 2013 წელს ისევე, როგორც ეს მისმა მთავარმა მტერმა ვლადიმირ პუტინმა გააკეთა.

## ჩა ვით აკისი მიბანიზატორებს?

ფარული ჩანაწერები –  
სახელმწიფო გადატრიალების  
მცდელობისთვის  
დაკავების საფუძველი  
თუ მორიგი იარაღი  
პოლიტიკური ოპონენტების  
დისკრედიტაციისთვის?

მანანა ვარდიაშვილი



„უნდა ვიყოთ ფხიზლად, ვინაიდან ეს პროვოკაციები ქვეყნის შიგნით არ მზადდება. ჩვენ გაუუჩიარებთ ხალხს ყველა იმ ცოდნას და ინფორმაციას, რომელიც გაგვაჩინია და სამწუხაროდ, ბევრი ცუდი ინფორმაცია გაგვაჩინია“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო აღლუმზე 26 მაისს, პარლამენტის წინ მიტინგის დაბევიდან ცოტა ხანში.

ამ განცხადებიდან ორიოდ საათში შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინო ბურჯანაძისა და მისი შვილის, ანზორ ბიწაძის 4-წლიანი საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც ისინი ქვეყანაში ხელისუფლების შე-

ცვლის შესაძლო სცენარებს განიხილავენ. ჩანაწერში, ანზორ ბიწაძე დედას სამოქალაქო ომის დაწყებას სთავაზობს. დიალოგიდან ირკვევა, რომ პარლამენტის ექს-თავმჯდომარის შვილს გრუ-ს დახმარების იმედი აქვს:

**ანზორ ბიწაძე:** წინო, ბევრი ვიფიქრეთ ცოტა ვიფიქრე გუშინ, გთავაზობ ასეთ რალაციას, რომ ერთი კვირის მანძილზე შეგიძლია, მიიღო გადაწყვეტილება...

თუ პასუხისმგებლობას იღებ, მაშინ სამოქალაქო ომზე წასვლაც ღირს. ღირს 100 კაცის სიკვდილითაც და 500 კაცის სიკვდილითაც. ხო, ეგრეა, კი. ყველა ერმა, რომელმაც რაღაცას მია-

ღწია, სისხლით არის მათი ყველას მიწა მორწყული.

**წინო ბურჯანაძე:** ამასაც არ აკლია.

**ანზორ ბიწაძე:** ამასაც არ აკლია – ეგრე არ არის. თუ მას ხარ, 200 ნელია სისხლი არ დაღვრილა. მერე იცოდე, თუ პროცესს დაიწყებ, იქ უკვე ერთ კაცს ფეხი მოტყდა და ორს თავი მოეჭრა, კი სიო, მორჩა, დამთავრდა რა. მორჩა, იქ უკვე უკან სვლა აღარ უნდა დაინტყო, რა. და 40% მხარს რო უჭერს სააკაშვილს, მე მაგაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. განათებული რომ ჰქონდეთ ამათ ტვინი, მაშინ რევოლუცია არ იქნებოდა საჭირო, რა...

30 000 კაცი გამოვა.

**წინო ბურჯანაძე:** მე მეტი მცონია.

**ანზორ ბინაძე:** თავისუფლების მოდანს გაავსებს ეგა? ხოდა, მივიდეს ებლა და მითვალოს იქა, ოცდაათია თუ სამოცდაათი. ...

ეგვიპტის ვარიანტი იქნება. დროებით მთავრობა უნდა იყოს კველა ვარიანტში. ეს კრება რაღაც გინდა მაშინ? კომიტეტი გამოაცხადებს კომენდანტსკი ჩასს და საგანგებო მდგომარეობა იქნება. მარა ეგვიპტეში მაღლე დააღავსეს, 3 თვეში ტურისტები ჩავიდნენ. მაგრამ იქ ჯარია ძლიერი. ჩვენი ჯარიც კი დაგიდგება გვერდზე, მაგრამ მთხლეა, რად გინდა. ჯარში ისეთი სიტუაციაა, რომ უფ!

**ნინო ბურჯანაძე:** ხო?

**ანზორ ბინაძე:** არა, რას ლაპარაკობ, ჯარი დაივიწყე ვაფშე.

**ნინო ბურჯანაძე:** აბა, პოლიცია ვერ მოგვერევა. კოჯირის ბატალიონი გვესვრის ვითომ?

ტყვებისა და ფრაზების ნაკრებს წარმოადგენს.

შეს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის განცხადებით, ეს ჩანაწერი ადასტურებს, რომ სახალხო კრების აქციის ორგანიზატორთა ნანილი მასობრივი არეულობისა და ძალადობის გზით ხელისუფლების შეცვლის გეგმას განიხილავდა. მან არ განმარტა, რატომ გამოქვეყნდა მხოლოდ აქციის დარბევის შემდეგ საუბარი, რომელიც სავარაუდოდ, 26 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა იყოს ჩანერილი.

„ამ ჩანაწერების გამოქვეყნება მიზნად ისახავს არა დანაშაულის პრევენციას, არამედ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას და პოლიტიკურ დისკრიმინაციას კონკრეტული პოლიტიკური მოთამაშეებისა“, – ფიქრობს თინა ხიდშელი „რესპუბლიკური პარტიიდან“. მისი თქ-

ნებულია სამი ვიდეო მასალა. მათ შორისაა გადამდგარი გენერლის, შეფიცულთა რაზმების მეთაურის და ბადრი ბინაძის მეგობრის გია უჩავას აღიარებითი ჩვენება. გია უჩავა სამართალდამცავებმა 22 მაისს, ტელევიზიის წინ აციაზე დააკავეს.

თავის ჩვენებაში უჩავა ამბობს, რომ „სახალხო კრების“ შეფიცულთა რაზმები „ნახევრად გასამხედროებულ“ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

„მათ შეიარაღებაში შედიოდა ფარები და დროშის ტარები. დროშის ტარები გამოიყენებოდა, როგორც ხელკეტები. უკვე შემდეგ პერიოდში ბადრი ბინაძემ გაავლერა, რომ გაკეთებულიყო „რაგატკები“, რომლითაც ისროდნენ რკინის ბურთულებს, რასაც შეეძლო მძიმე დაზიანებები მიეყენებინა ადამიანის სხეულისათვის და ასევე შეიძლებოდა ადამიანი დაღუპულიყო კიდეც“, – აღნიშნა უჩავამ თავის ჩვენებაში.

მისი ინფორმაციით, შეფიცულთა რაზმებში აკეთებდნენ ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილებსაც“ და გეგმავდნენ ტელევიზიის, ან საკრებულოს შენობების დაკავებას. სამართალდამცავებთან დაპირისპირების შემთხვევაში მათი მანქანები და ტექნიკა სწორედ „მოლოტოვის კოქტეილის“ გამოყენებით უნდა დაწვათ.

უჩავას განცხადებით, აქციების მიმდინარეობისას, ახალგაზრდების ერთ ჯგუფს მაღაზიების ძარცვა და მანქანების დაწვა დაევალა. შეიქმნა ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ჯგუფი, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამცავებისათვის უნდა გაეხსნა ცეცხლი. უჩავას მტკიცებით, 21 მაისიდან ამ პროცესებს ბადრი ბინაძე ხელმძღვანელობდა.

არც უჩავა და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო არ განმარტავენ, თუ როგორ მოხდა, რომ „სახალხო კრების“ მიერ დაგეგმილი ძალადობრივი ღონისძიებებიდან არცერთი არ განხორციელებულა.

ერთ-ერთ ფარულ ვიდეოჩანანერში რესტორან „ზღაპარში“ ბადრი ბინაძე, ირაკლი ბათიაშვილი და გია უჩავა პარტნიორებთან ერთად სამართალდა-

## ■ პასუხი კითხვაზე – დადგება თუ არა აქციის ორგანიზატორების პასუხისმგებლობის საკითხი და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით შეიძლება წაუყენონ მათ – არ არსებობს. ამ თემაზე არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა კომენტარს არ აკეთებს.

**ანზორ ბინაძე:** არა კაცო, რა სისულელეა, შეიძლება კოჯირის ბატალიონი გადამვიდეს და გადაგვიკეტოს გზა, ჩაგვიყენოს ტანკი ან ბეტერი, მაგრამ არ გვესვრის.

**ნინო ბურჯანაძე:** რატომ ხარ ეგეთი დარწმუნებული?

**ანზორ ბინაძე:** იცი რა, კოჯირის ბატალიონი თუ მესვრის, პირველ იერიშს ავიცილებ და დადგეს მერე და გრუს სპეცნაზთან გაარკიოს ურთიერთობა.

ნინო ბურჯანაძე ადასტურებს, რომ ჩანაწერში ნამდვილად მისი და მისი შევლის ხმა ისმის. თუმცა იგი ამბობს, რომ დიალოგი დამონტაჟულია და სხვადასხვა დროს წარმოთქმული სი-

მით, ამ ჩანაწერმა მას 2007 წლის ნოემბერი გაასხენა. „მაშინაც მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის გაავრცელეს ჩანაწერები და ამას არანაირი სამართლებრივი მოქმედება არ მოჰყოლია“.

27 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი ფარული ჩანაწერები გამოაქვეყნა. უტიაშვილის განცხადებით, სპეციალურ მასალაში ჩანს, „თუ როგორ განიხილავს აქციის ორგანიზატორთა ერთი ნანილი ძალადობის გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“. მისივე განცხადებით, სამინისტრო უახლოეს მომავალში კიდევ გეგმავს ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებას.

27 იანვრის საღამოსთვის გამოქვეყ-

# მთავარი თემა

მცავებთან შეტაკებისას ადამიანური რესურსის განაწილების საკითხებს განიხილავდნენ.

მეორე მასალა კი „სახალხო კრების“ ოფისში 4 აპრილსა და 19 მაისს არის ჩანერილი. ფარულ მასალებში „სახალხო კრებისა“ და „შეფიტულთა რაზმების“ ლიდერები და წევრები სხვადასხვა იარაღის დამზადებაზე მსჯელობენ.

ამ მასალების არსებობის მიუხედავად, შოთა უტიაშვილის თქმით, საქმესთან დაკავშირებით „პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალადობის გამოყენების“ ბრალდებით დაკავებული არავინაა. მისი თქმით, გამოძიება ისევ გრძელდება.

კონკრეტული პასუხი კითხვაზე – დადგება თუ არა აქციის ორგანიზატორების პასუხისმგებლობის საკითხი და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით შეიძლება წაუყენონ მათ ბრალდება – ჯერჯერობით, არ არსებობს.

ამ თემაზე არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა კომენტარს არ აკეთებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის 315-ე მუხლი, რომელიც კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის მიზნით, შეთქმულების ან ამბობების მოწყობას ეხება. ამ მუხლის პირველი ნაწილი 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღვეთას ითვალისწინებს; მე-2 ნაწილი – „ამბობება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად“ 7-დან 15 წლამდე პატიმრობას; ხოლო მე-3 ნაწილი „მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“ – 15-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღვეთას.

ხელისუფლების ნარმომადგენლებმა ფარული აუდიოჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ ერთხმად განაცხადეს, რომ „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა“. მათ ბურჯანაძის ქმედებას ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკონსტიტუციური და ძალადობაზე ორიენტირებული უწოდეს. ითქვა ისიც, რომ ამ ჩანაწერმა ბურჯანაძის რუსულ

ძალებთან თანამშრომლობა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

სწორედ ამ საფრთხით ახსნა ხელისუფლებამ 26 მაისს მიტინგის დარბევაც და საკუთარი ეჭვები ფარული ჩანაწერებითაც დაასაბუთა.

„თუ შს ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აქციის ორგანიზატორები ამზადებდნენ არაკანონიერ ქმედებებს ან სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობას და ამასთანავე იმართებოდნენ რუსეთიდან, ძნელი გასაგებია, რატომ არ მიაწოდეს სამართალდამცავებმა ეს ინფორმაცია იმ ადამიანებს, რომლებიც ამ აქციაში მონაწილეობდნენ – ასეთ შემთხვევაში ხომ ძალიან ბევრი აქციის მონაწილე გამოეთხებოდა ამ პროცესს და შესაბამისად არ გახდებოდა დანაშაულის მონაწილე?“ – კითხულობს „რესპუბლიკული“ თინა ხიდაშელი.

შს სამინისტროს ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოქვეყნების დიდი პრაქტიკა აქვს. 2007 წელს პოლიტიკური ოპოზიციის დიდი ნაწილის რუსეთთან თანამშრომლობასა და რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დადანაშაულება ხელისუფლებამ სწორედ მამხილებელი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების საშუალებით შეძლო. თუმცა



ამ ჩანაწერების საფუძველზე მაშინ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა (ერთადერთი გამონაკლისი ბადრი პატარეკაციშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე იყო) და ფარულ ჩანაწერებში გამოაშეარავებული პირები – მათ შორის პოლიტიკოსები – ლევან ბერძენიშვილი, შალვა ნათელაშვილი, გოგა ხაინდრავა – არავის დაუკითხავს.

თითოეული ეს ჩანაწერი კონკრეტულ პერიოდში საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა, ხელისუფლებას ოპოზიციის დისკრედიტაციასა და პოლიტიკური მიზნების მიღწევაში ეხმარებოდა, შემდეგ კი ყველას ავინაყდებოდა. მათ შორის ხელისუფლებასაც.

პოლიტოლოგ გია ნოდიას აზრით, მთავარი მიზეზი, რის გამოც „სახალხო კრების“ ლიდერები ჯერჯერობით არ არიან დაკავებული, საერთაშორისო რეპუტაცია: „იმ ჩანაწერებში, რომლებიც შს-მ გაავრცელა, ნათლად ჩანს ორგანიზატორთა დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობა, რაც სავსებით საკმარისია გამოძიების დასაწყისად და ეს გამოძიება დაწყებულია. მაგრამ ხელისუფლება ფრთხილობს, რომ არ დაბრალდეს თითქოს მას ჰყავს პოლიტიკატიმრები და პოლიტიკური ნიშნით განსხვავებულ ადამიანებზე ახორციელებს დევნას“.

არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ ჩვეული ტაქტიკა აირჩიოს და ამჯერადაც ნინო ბურჯანაძის და მისი ოჯახის წევრების სამართლებრივი დევნის ნაცვლად, პოლიტიკურად გაბანკროტებული ექს-სპიკერის მარგინალიზაციას შეუწყოს ხელი. ბურჯანაძისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნას, შესაძლოა, ექს-სპიკერისთვის წამებულის იმიჯის მორგება მოჰყვეს.

როგორც ჩანს, ხელისუფლების ეს ტაქტიკა კარგად იცის თავდა ბურჯანაძემაც. რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაშავებულების მოსანახულებლად მისული, გაბრაზებული ნინო ბურჯანაძე სამართლდამცავებისგან ჯიუტად ითხოვდა დაპატიმრებას, თუმცა მას ყურადღებას არავინ აქცევდა. **■**

## ლასახბელებს ისევ ცებენ

პარასკევს ღამით, მიტინგის დარბევიდან ორი დღის შემდეგ კვლავ უცნობი იყო იმ ადამიანების ადგილსამყოფელი, რომლებიც აქციის დაშლის შემდეგ გაუჩინარდნენ.

რუსუდან ფანოზიშვილი, ცირა გვასალია



ფოტო: სერგი გოგოვი / REUTERS

# მთავარი თემა

27 მაისს სალამოს თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი მამაკაცის გვამი იპოვეს. ერთ-ერთია 49 წლის ნიკა კვინტრაძე, რომელსაც ოჯახი 26 მაისის მიტინგის დარბევის შემდეგ ექცებდა. პარასკევს ღამით, როცა „ლიბერალი“ დასაბურიდად მზადდებოდა, ჯერ კიდევ უცნობი იყო მეორე გარდაცვლილი მამაკაცის ვინაობა და ისიც, თუ კონკრეტულად რა ადგილს იპოვეს გვამები.

იმავე სალამოს შეს სამინისტროს ვებგვერდზე გაჩნდა ასეთი ინფორმაცია: „27 მაისს დილით, თავისუფლების მეტროსთან მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის სახურავზე აღმოჩენილი იქნა 2 მამაკაცის გვამი. წინასწარი მონაცემებით, გარდაცვალების მიზეზი ელექტროსადენებთან მათი შეხება იყო. გამოძიება სწავლობს ამ პირების შესაძლო კავშირს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საპროტესტო აქციასთან“.

ნიკა კვინტრაძის გვამი ასათიანის ქუჩაზე, პროზექტურაში მისმა მეგობრებმა ამოიცნეს. 49 წლის თბილისელი არქიტექტორის ნიკა კვინტრაძის მეგობარი რეზო რეზვიაშვილი აცხადებს, რომ ის და ნიკა აქციის დარბევის ღამეს პარლამენტის შენობის წინ იმყოფებოდნენ: „დაახლოებით პირველის 15 წუთი იქნებოდა, როდესაც სპეცდნიშნულების რაზმთან მოგვიხდა შეტაკება, ჩენ აქციის მონაცილები კი ვიყვათ, მაგრამ არ ვყოფილვართ ნინო ბურჯანაძის მხარადამჭერები, ხელში არც დროშის ტარები გვჭერია. ბოლოს როდესაც ვნახე ნიკა, დავინახე რომ სპეცრაზმელები ხელვატება და წიხლებს ურტყამდნენ. მეც იგივე დღეში ვიყავი. ამის შემდეგ ნიკა ალარ მინახვას“.

ნიკა კვინტრაძის გვარი სხვადასხვა ორგანიზაციებისა და აქტივისტების მიერ შედგენილ დაკარგულთა სიაში არ ფიგურირებდა. აქტივისტი დაჩიცაგურია, რომელმაც „ფეისბუკზე“ მიტინგის დროს დაკარგულთა მოსახებ-ნად და ინფორმაციის შესაგროვებლად სპეციალური გვერდი შექმნა, ამბობს, რომ დაკარგულთა ახლობლები ზოგჯერ ერიდებოდნენ აქტივისტებისთვის საკუთარი ნათესავების გვარ-სახელების

გამხელას სამართალდამცავთა მხრიდან დევნის შიშით.

27 მაისს სალამოს, შეს სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ 105 ადამიანის სიაც, რომლებიც 26 მაისს აქციის დაშლისას დაკავეს. დაკავებულთა სიაში აღმოჩნდა 7 ადამიანი იმ 40-ზე მეტი მოქალაქიდან, რომლებიც პარასკევს ღამით ჯერ კიდევ დაკარგულთა სიაში ირიცხებოდნენ.

შეს-ს მიერ გამოქვეყნებულ დაკავებულთა სიაში არ არის მიტინგების ერთ-ერთი ორგანიზატორი ირაკლი ბათიაშვილი. მისი მეუღლის – მაისს ინფორმაციით, ირაკლი ბათიაშვილი თავდაპირველად მოდულის შენობაში ჰყავდათ მიყვანილი. მაის ბათიაშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ მისი მეუღლე სასტიკად ნაცემია და სამართალდამცავები მის ადგილსამყოფელს ამ მიზეზით არ ახმაურებენ.

26 მაისს, დილიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიტინგის დაშლის დროს დაკავებულების სასამართლო პროცესები დაიწყო. დაკავებულების ოჯახის წევრებთან ერთად აქ ის ხალხიც იკრიბებოდა, ვინც დაკარგულ ახლობლებს ეძებდა.


საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო განყოფილებასთან რიგი იდგა.

„დავით ქინქლაძეზე პროცესი ხომ არ ყოფილა?“ – იკითხა ხანძიშესულმა ქალბატონმა. პასუხი უარყოფითი იყო.

„მგელაძები, რეზო და სიმონ მგელაძეები?“ – მგელაძეების ადვოკატებმა შეიტყვას, რომ მათი დაცვის ეჭვშ მყოფები იზოლატორში არიან. „პროცესი უკვე ჩატარებულა წუხელ“, – გვითხრა ერთ-ერთმა ადვოკატმა.

„ჩემს ქმარს ვეძებდი, აქციაზე იყო, „სახალხო კრების“ წევრია. საავადმყოფები შემოვაირე, ბოლოს აქ მოვედი. ახლა გავიგე, რომ 30-დღიანი პატიმორბა შეუფარდებათ“, – გვიყვება სასამართლოს შენობიდან გამოსული ახალგაზრდა ქალი.

27 მაისს სალამოს შეს-მ გამოაქვეყნა დარბეული აქციის დროს დაკავებულთა სია, რომელშიც 105 ადამიანი ირიცხება. ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის, მოთა უტიაშვილის თქმით,



ფოტო სამინისტრო / REUTERS

შეს-ს არ შეუძლია გასცეს დამატებითი ინფორმაცია მაგალითად იმის შესახებ, თუ რა ბრალდებით დაკავეს მომიტინებები, რა მოტივით აღიძრა მათ წინააღმდეგ საქმე და რა ვადით შეეფარდათ პატიმორბა. შეს სამინისტროში არ გასცემდნენ ინფორმაციას არც აქციის დაშლის შემდეგ დაკარგული მოქალაქეების შესახებ და არ აკონკრეტებდნენ არც იმას, თუ რამდენი მოქალაქე გადაიყვანეს სხვადასხვა კლინიკაში დაბრევისას მიღებული ტრატემების გამო. მონაცემებს არ ფლობს არც ჯანდაცვის სამინისტრო.

ამიტომ დაზუსტებით თქმა, რამდენი ადამიანი დაშავდა აქციის დაშლისას, შეუძლებელია. დაკარგულების შესახებაც მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციი-



**■ საია-ს იურისტები აცხადებენ, რომ ზედმინევნით დახურული ინფორმაციის გამო ვერ შეძლეს იმ მოქალაქეების დახმარება, რომლებიც დაკარგული ახლობლების მოძებნას თხოვდნენ მათ.**

ბის მიერ შედგენილი არაოფიციალური სია არსებობს, რომელსაც 26-27 მაისს პეტრიოდულად აკლდებოდა ნაპოვნი ადამიანების სახელები, მაგრამ პარალელურად ახალი სახელებითაც იცსებოდა.

იურისტები, რომლებიც 26 მაისის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ადევნებდნენ თვალ-ყურს, აცხადებენ, რომ

საქმის არსში გარკვევას ხელს, პირველ რიგში, სწორედ ინფორმაციის დახურულობა უშლილად.

„ხშირად ჩვენს ადვოკატებს არ ეუბნებოდნენ, სად ტარდებოდა დაკავებულთა პროცესები, ან მიუთითებდნენ, მაგრამ მერე აღარ უშვებდნენ“, — ამბობს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“

(საია-ს) იურისტი, თამარ ჩუგოშვილი და დასძენს, რომ მომიტინგეთა უფლებებისა და არღვევა სამართალდამცავებმა სასამართლო პროცესებამდე დაიწყეს – ჯერ კიდევ რუსთაველის გამზირზე მათი დაკავებისას.

გაზისა და წყლის ჭავლის გაშვების შემდეგ სპეცრაზმელებმა ათეულობით ხელებშეკრული ადმინისტრაციული მიმდებარე ქუჩებზე ას-ფალტზე დააწვინეს. ზოგიერთ მათგანს ხელვეტებს ურტყამდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. უკვე სასამართლოზე კი მათ ჩვენებებს ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ.

„მიუხედავად იმისა, რომ პროცესზე მიყვანილი ზოგიერთი დაკავებული ნაცემი იყო, მოსამართლე საერთოდ არ ამახვილებდა ყურადღებას მათ დაზიანებებზე. ერთადერთი, რასაც სასამართლო პასუხისმგებლობის შეფარდებისას ეყრდნობოდა, პოლიციელის ჩვენება და დაკავების ოქმი იყო“, — ამბობს თამარ ჩუგოშვილი.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ინფორმაციით, დაკავებულთა უმრავლესობას საქალაქო სასამართლოში 30-35 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა ან 400-ლარიანი ჯარიმა შეუფარდეს. მათივე ცნობით, მომიტინგები, ძირითადად, „ბოროტი დაუმორჩილებლობის“ მოტივით დააკავეს.

საია-ს იურისტები აცხადებენ, რომ ზედმინებით დახურული ინფორმაციის გამო ვერ შეძლეს იმ მოქალაქეების დახმარება, რომლებიც დაკარგული ახლობლების მოძნას თხოვდნენ მათ: „ჩვენ იმასაც ვერ ვიგებთ, ის ადამიანები ვისაც ოჯახები ექებენ, დაკავებულები არიან თუ არა. იზოლატორში უნდა ვეძებოთ, თუ კიდევ სხვაგან“, — ამბობს თამარ ჩუგოშვილი.

„დემურ მანაგაძე აქ წევს?“ — პატარა სარკმლიდან შესძახა ორმა ქალმარესპუბლიკური საავადმყოფოს დაცვას, რომელიც ფანჯარას მხოლოდ ზოგჯერ ალებდა და მოქალაქეების კითხვებს სიტყვაძუნნად პასუხობდა. უარის მიღების შემდეგ ქალბატონები უკან გაბრუნდნენ, — „ლუდუშმაურშიც ვიყავით, არც იქ იყიდეს“.

# მთავარი თემა

26 მაისიდან მოყოლებული დაკარგული მომიტინგების ნათესავებს საკუთარი ოჯახის წევრების ძებნა მარტო უწევდათ. არც ერთ საავადმყოფოში არ იყო გამოკრული იმ მოქალაქეების სია, რომლებიც საავადმყოფოში მიტინგიდან გადაიყვანეს, საავადმყოფოს დაცვის წევრები კი ხშირად მათ უხეში უარით ისტუმრებდნენ.

„სიები მაინც გამოაკარით, მანდ ვინ გყავთ და ვინ არა“, – ითხოვდა ერთი ქალბატონი, რომელიც საკუთარ ნათესავს ჯერ ღუდუშაურის კლინიკაში ეძებდა, შემდეგ რესპუბლიკურში მივიდა, იქიდან კი კიდევ სხვა საავადმყოფოს მიაშურა.

დაშავებულთა შესახებ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელი იყო ღუდუშაურის სახელობის კლინიკაშიც. „ლიბერალი“ არც ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, ე.წ. „არამიანცში“ შეუშევს, თუმცა დაშავებულთა შესახებ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია

მაინც იქ გასცეს. 27 მაისს „არამიანცში“ აცხადებდნენ, რომ მათ კლინიკაში მიტინგის დროს დაზარალებული ყველა პაციენტი უკვე განერილი იყო.

იმ მოქალაქეების დასახმარებლად, რომლებიც აქციის დაშლის შემდეგ საკუთარ გაუჩინარებულ ნათესავებს ეძებდნენ, „ფეისბუკზე“ სპეციალური გვერდი – „26 მაისს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შტაბი“ შეიქმნა, რომელზეც სოციალური ქსელის მომხმარებლებმა 40-ზე მეტი გაუჩინარებულის სახელი და გვარი გამოაქვეყნეს. დაკარგულთა 49-კაციანი სია შეადგინა მედიაკავშირმა „ობიექტივაცია“. თუმცა, როგორც „ობიექტივის“ ნარმომადგენელი, სოსო მანვარიებ ამბობს, სიას ყოველდღე ემატება ახალი სახელები. 27 მაისის ჩათვლით კი სულ 3 ადამიანის პოვნა შეძლეს.

პარასკევს, 27 მაისს 48 წლის სიღნალელ გია ნაცვლიშვილს ჯერ კიდევ ეძებდა მეუღლე: „ვიღაცას უნახავს ტელე-

ვიზიაში, აქციაზე ჩაცუცქული იჯდაო, მაგის მერე არაფერი ვიცი. რესპუბლიკურშიც გიყავთ და ღუდუშაურშიც, მაგრამ არ იყო“, – აცხადებს ქალბატონი ლალი, „– ჩვენ არავინ დაგვაგშირებია დასახმარებლად, პოლიციასაც მივმართეთ, თუმცა, გვითხრეს, ვერაფრით დაგეხმარებითო“.

„ფეისბუკზე“ უგზოუკვლოდ დაკარგულთა გვერდის შემქმნელი დაზი ცაგურია და „კონსერვატიული პარტიის“ ნარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი 27 მაისს დაკარგულების საკუთარი სიით რესპუბლიკურ კლინიკაში მივიდნენ. ისინი საავადმყოფოს ექიმებისგან ითხოვდნენ ინფორმაციას იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც პარასკევს ჯერ კიდევ რჩებოდნენ კლინიკაში სამკურნალოდ. გაირკვა, რომ დაკარგულთა სიიდან სამი ადამიანი მართლაც მკურნალობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თუმცა 27 მაისს ისინი კლინიკიდან უკვე განერილები იყვნენ. □



ფოტო ივანე ბარაზევისავალი

# ძალისა უჩნაოსტებზე

უურნალისტების ნაწილი, რომელიც 26 მაისს მიტინგის დაშლას აშუქებდა, პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტებს იხსენებს.

## მარიკა ქოჩიაშვილი

26 მაისის აქციის დაშლას 100-მდე ქართველი და უცხოელი უურნალისტი აშუქებდა. მათგან დაახლოებით ათი ჰყება, თუ როგორ სცემეს სპეცრაზმელებმა, ანდა მიტინგზე გადაღებული მასალა და აპარატურა წაართვეს.

გაზრდა „გურია ნიუსის“ უურნალისტი – ნატო გოგოელია – ფოტოკამერით აფიქსირებდა, თუ როგორ სცემდა 4-5 სპეცრაზმელი წაქცეულ მომიტინგეს. სპეცრაზმელებმა მას ნიხლი ამოარტყეს და კამერა წაართვეს, შემდეგ კი, როცა მიხვდნენ, რომ უურნალისტი კადრებს ტელეფონითაც იღებდა, ტელეფონიც გამოგლიჯეს.

კამერა დაუზიანეს და წაართვეს, „ნეტგაზეთის“ რედაქტორ ნესტან ცეცხლადესაც, რომელმაც ასფალტზე გაუნდრევლად დაგდებული ადამიანი დაინახა: „რამდენიმე წამში შევიშნე, რომ ძირს დაგდებულს ერთი ნიბიდანი სპეცრაზმელიც აკვირდებოდა და სხეულს ფეხით უსწოვავდა. შეამჩნია, რომ ვუყურებდი და მაშინვე გავიქცი. კინოთეატრთან ახლოს, ბორდისურის ქვემოთ, მეორე დაცემული ადამიანიც შევნიშნე, სიცოცხლის ნიშანწყალი არც მას ეტყობოდა... ვცდილობდი მიმხდარიყვავი, ცოცხალი თუ იყო. სტორედ ამ დროს მეცა ნიბიდანი სპეცრაზმელი და კამერა წაართვა. ყველაზე მეტად მაინტერსებს, იყვნენ თუ არა ისინი ცოცხლები. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ცოცხლები იყვნენ, ან მკვდრები. ეს მეთავად უნდა გამერკვია და ამის შესაძლებლობა უნდა მოეცათ, რადგან უურნალისტი ვიყავის“, – წერს თავის ბლოგში ნესტან ცეცხლადე.

„აღმოვნდი „ქორთიარდ მერიოტთან“, სადაც რუსთაველის სიღრმიდან გამოჰყავდათ აქციის ბორკილდადებული მონაწილეები და ყვითელ ავტობუსებში სვამდნენ. ამ ვყველაფერს ფლიპ-კამერით ვიღებდი. უცებ სპეცრაზმის

სამი ნიღბიანი თანამშრომელი მომვარდა“, – იხსენებს სააგენტო „ინტერპრეს-ნიუსის“ უურნალისტი, დარეჯან პაატაშვილი. ერთ-ერთმა სამართალდამცავმა დარეჯანს ყელზე მთელი ძალით მიაჭირა იდავიცი, მეორემ კი სწორედ ამ დროს გამოგლიჯა კამერა.

ზოგი დაშავებული უურნალისტი აღნიშნავს, რომ სპეცრაზმის თანამშრომელთა შერის, შესვდნენ ისეთებიც, რომლებიც მათ თანაგუნდელთა აგრესისგან იცავდნენ. თუმცა, სხვებს ასე არ გაუმართლათ. „ნეტგაზეთის“ უურნალისტს, თამაზ კუპრეიშვილს, ახსნა-განმარტების მოქედავად, რომ უურნალისტი იყო, სპეცრაზმელებმა რეზინის ხელებით მაინც ურტყეს და ძირსდაგდებულს კამერაც წაართვეს.

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრეს-ნიუსის“ უურნალისტი, მალაზი ჭავადუა, თავის იპერატორთან და სააგენტო „ექსპრეს-ნიუსის“ ორ თანამშრომელთან ერთად, 15-იოდე სპეცრაზმელმა დაკავა და ხელებით სცემა. შემდეგ ჯერ თაბუკაშვილის ქუჩაზე, პოლიციის შენობაში



**■ პარასკევა, 27 მაისს**  
**ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა,**  
**რითაც დაგმო თბილისში დემონსტრაციის დაშლისას დამავებულ უურნალისტებს ბოდიში 26 მაისს, ღამითვე მოუხადა.**  
**თუმცა, კოალიცია „მედიის ადვოკატიორებისთვის“ წევრები აცხადებენ, რომ ბოდიშის მოხდა საკმარისი არ არის. კოალიციის წევრები 26 მაისს მომხდარი ინციდენტების გამო შს სამინისტროს სამპუნქტიამ მოთხოვნას წარუდგენენ. პირველ რიგში, ითხოვენ უურნალისტებზე ძალადობის თითოეული შემთხვევის გამოძიებასა და დამამავე პოლიციელების დასჯას. ასევე საჭიროდ მიაჩნიათ, რომ იმ უურნალისტებს, რომელთაც აპარატურა წაართვეს და დაუზიანეს, აუნაზღაურდეთ ზარალი; ხოლო პოლიციელებს ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგი იმის ასახსხელად, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მსგავს სიტუაციებში უურნალისტებთან ურთიერთობისას. **■****

გადაიყვანეს, იქიდან – დილმის პოლიციის სამმართველოში, სადაც დაკავებულების მტკიცებამ, რომ უურნალისტები არიან, გაჭრა და უვნებლად გაუშვეს.

პარასკევას, 27 მაისს ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რითაც დაგმო თბილისში დემონსტრაციის დაშლისას უურნალისტებზე ძალადობის ფაქტები.

მედია სამართლის ექსპერტმა, სანდრო ბარამიძემ, სპეცრაზმის თანამშრომელების ქმედებას ძალის გადამეტების კლასიკური ნიმუში უწოდა.

„არ არსებობს რამე ნორმატიული აქტი ან კანონი, რომელიც უურნალისტებს ქურჩაში განვითარებული მოვლენების დაფიქსირებასა აუკრძალავს. უურნალისტებთვის ხელის შეშლა – კამერის წართმევა, ფიზიკური ძალადობა – არის დანაშაული“, – აცხადებს პარამიძე.

შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა მოთა უტიაშვილმა აცხილის დაშლისას დამავებულ უურნალისტებს ბოდიში 26 მაისს, ღამითვე მოუხადა. თუმცა, კოალიცია „მედიის ადვოკატიორებისთვის“ წევრები აცხადებენ, რომ ბოდიშის მოხდა საკმარისი არ არის. კოალიციის წევრები 26 მაისს მომხდარი ინციდენტების გამო შს სამინისტროს სამპუნქტიამ მოთხოვნას წარუდგენენ. პირველ რიგში, ითხოვენ უურნალისტებზე ძალადობის თითოეული შემთხვევის გამოძიებასა და დამამავე პოლიციელების დასჯას. ასევე საჭიროდ მიაჩნიათ, რომ იმ უურნალისტებს, რომელთაც აპარატურა წაართვეს და დაუზიანეს, აუნაზღაურდეთ ზარალი; ხოლო პოლიციელებს ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგი იმის ასახსხელად, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მსგავს სიტუაციებში უურნალისტებთან ურთიერთობისას.

# დამოუკიდებლობის დღე

## ალბათი 2011

### მაისის წილაური

26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი, ტრადიციულად, პარლამენტის შენობის წინ გაიმართა. რუსთაველის გამზირზე მოქალაქეები დილის 9 საათიდან შეგროვდნენ. თითოეული მათგანი შემოლობილ ტერიტორიაზე მხოლოდ მკაცრი შემოწმების გავლის შემდეგ მოხვდა.

საზემო აღლუმი საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ჩაიბარა. მან ჯერ „სახალხო კრების“ აქციის დამლისას გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახებს მიუსამდიმრა. შემდეგ კი განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავის ჩაშლა „ქვეყნის გარეთ დაწერილი სცენარის მიხედვით“ იგეგმებოდა.

„ამ პოლიტიკოსებს თავის მცირერიცხოვანი ჯგუფებით სურდათ სწორედ სიტყვის თავისუფლებაზე და ქართულ დემოკრატიაზე ხელის აღმართვა. მათ სურდათ არა სიტყვის თავისუფლება, არამედ ძალადობა და მსხვერპლი“, – განაცხადა სააკაშვილმა.


ღონისძიებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, მთავრობა, უცხოელი დიპლომატები და სხვა მონვეული სტუმრები ესწრებოდნენ. აღლუმი საქართველოს ჰიმნით გაიხსნა, რომელიც სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილმა ნინი ბადურაშვილმა შეასრულა.

სამხედრო აღლუმში კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მსმენელები, სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფები, ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, ცალკეული კავშირგაბმულობის ბატალიონი, გვარდია და საავიაციო ქვედანაყოფები მონანილეობდნენ. აღლუმზე პირველად გამოვიდა ახალი სადაზვერვო მანქანა, ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი“, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე დაქვემდებარებულ სატანკო სანარმოში აიწყო.

მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენით 15 საზოგადო მოღვაწე, ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით კი 3 სამხედრო პირი დააჯილდოვა.

აღლუმი მოიერისე სუ-25-ის ტიპის თვითმფრინავებმა დაასრულეს და ცაზე საქართველოს დროშის ფერები დახატეს. აღლუმის დასასრულს ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ ცეკვა და ციფან კანფეტების ჩამოყრა იგეგმებოდა, თუმცა სავარაუდოდ, წინა ღამეს მოშხდარი მოვლენების გამო, ორივე ნომერი ღონისძიების ორგანიზატორებმა პროგრამიდან ამოიღეს.





# ჩაითვისმი საქათვეოში ნახსენს ჩაბახენ

ინტერვიუ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერთან  
ირაკლი ალასანიასთან

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდი ტრაგედია უფრო მეტად მოამწიფებს ჩვენს საზოგადოებას. მას მომავალში აღარ ექნება ფუჭი დაპირებების იმედი და სწრაფი, რევოლუციური ცვლილებების მოლოდინი“.

ბატონო ირაკლი, 26 მაისის შემდეგ  
გაკეთებულ პირველ განცხადებაში  
თქვენ აღნიშნეთ, რომ მომხდარი ტრაგე-  
დია უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების  
კისერზეა. კონკრეტულად ვის ადანაშაუ-  
ლებთ?

არ შეიძლება, მხოლოდ ერთი მხარე იყოს დამნაშავე ასეთ ტრაგედიაში. აյ არის ცინიზმი, უპასუხისმგებლობა და პოლიტიკური უტიფრობა, ორივე მხრიდან.

თუმცა, როცა ხალხი პროტესტის გამოხატვის რადიკალურ ფორმას ირჩევს, ეს, პირველ რიგში, ხელისუფლის ბრალია. პირადად სააკაშვილის ბრალია, რადგან მან ხალხთან ურთიერთობის სხვა გზა არ დაიტოვა, გარდა ძალადობისა. მას აღარ ესმის ხალხის.

პირადად სააკაშვილმა შეაფერა საარჩევნო რეფორმატორის დაკავშირებული მოლაპარაკება, რამაც საპროტესტო ელექტორატში კიდევ უფრო გააღრმავა უმიერბობის და უპერსპექტივობის განცდა.

დარწმუნებული ვარ, 2 თვის წინ „რვიანის“ მოლაპარაკებებში რაიმე შედეგი რომ ყოფილიყო, ასეთ პროტესტზე ხალხი არ წავიდოდა.

ამავე დროს, პასუხისმგებლობა არ ეხსნებათ აქციების ორგანიზატორებს, რომლებმაც ზუსტად იცოდნენ, რომ პროტესტის ამ ფორმას ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილება არ მოჰყვებოდა. მათ ზუსტად იცოდნენ, რომ დაიწყებოდა რეპრესიები და მოუხედა-



ვად ამისა, ხალხი ფიზიკური საფრთხის ქვეშ დააყენეს.

რაც მოხდა, ყველას ბრალია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ – პირველ რიგში, სააკაშვილის. მით უმეტეს, რომ აშკარად გაიცა ბრძანება, მომიტინ-გებებს განსაკუთრებული სისასტიკო გასწორებოდნენ, მათინ როცა ამგვარი სისასტიკის არანაირი საჭიროება არ არსებობდა.

ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია, რათა განსაკუთრებით ახალგაზრდები და ესაჯათ სამაგალითოდ, რომ მათ-თვის პროტესტის განწყობა ჩაეკლათ. და რაც მთავარია, მომავალში სხვებმა რომ არ გაბედონ ქუჩაში გამოსვლა.

■ **დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდი ტრაგედია უფრო მეტად მოამწიფებს ჩვენს საზოგადოებას.**

მას მომავალში

აღარ ექნება ფუჭი დაპირებების იმედი და სწრაფი, რევოლუციური ცვლილებების მოლოდინი.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდი ტრაგედია უფრო მეტად მოამზიფებს ჩენენს საზოგადოებას. მას მომავალში აღარ ექნება ფუჭი დაპირებების იმედი და სწრაფი, რევოლუციური ცვლილებების მოლოდინი. ვფიქრობ, 26 მაისის შემდეგ ამ მოლოდინის ადვილად გამოვივებას ვერავინ ველარ შეძლებს. დადგა დრო სერიოზული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებისთვის, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამას მსხვერპლი უძლოდა წინ.

**ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებასაც ზუსტად იგივე მიზანი ჰქონდა, როცა სასტიკად არ შევდა მომიტინგებს – ანუ ძეველი პოლიტიკური ეპოქის დასრულება. რომ მომავალში არავის ჰქონდეს ხელისუფლების შეცვლის ილუზია ქუჩის აქციებით?**

შესაძლოა, მაგრამ ის ცინიზმი, რომელიც გამოავლინა სააკაშვილმა, პირიქით, უფრო მეტად უწყობს ხელს ანტაგონისტურ განწყობას ხალხში.

სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ სააკაშვილისგან. ჩვენ ვამბობთ, რომ მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმებით, ერთმანეთის მიმართ ნდობის გამოხატვით უნდა დასრულდეს გაუთავებელი რევოლუციების და კატაკლიზმების ეპოქა. სააკაშვილს კი ისევ სჯერა, რომ ხალხში პროტესტის ჩახშობას ძალადობით მოახერხებს.

**2009 წელს, როცა ქუჩაში თქვენც იდექით, ბევრად უფრო მასშტაბური აქციები იყო. მაშინ ხელისუფლება, რომელმაც 2007 წლის მიტინგების და ამ კრიზისიდან დიდანს გამოდიოდა, რამდენიმე თვე მოთმინებით ელოდა, როდის დაიშლებოდა რუსთაველის გამზირზე საკნების ქალაქი. თქვენი აზრით, ამჯერად რატომ გადაწყვიტეს მიტინგის დარცევა? ხელისუფლება დღეს თავს უფრო თავდაჯერებულად გრძნობს, ვიდრე 2009 წელს?**

არა მგრინია, დღეს სააკაშვილს თვითრწმენის მეტი საფუძველი ჰქონდეს. აյ საქმე ისაა, რომ აქციების ზოგიერთმა ორგანიზაციონურად მოუწოდა ხალხს ძალის-

მიერი ურთიერთდაპირისპირებისკენ. ცხადია, ხელისუფლებამ ეს მონოდება გამოიყენა. ისევ შეიქმნა რუსეთის-გან საგარეო მტრის ხატი და ამას ამოფარებულმა ხელისუფლებამ თავს უფლება მისცა, ნეგატიური ენერგია გადმოენთხია ხალხზე. ეს სააკაშვილის ბუნებაა და ჩვენ მას ვერ შევცვლით.

ჩვენ, პოლიტიკოსებს, წინდახედულება და გონიერება უნდა გვეყოს, რომ ასეთი აგრესის მიზანი არ მივცეთ ხელისუფლას, რომელიც ბუნებით ავტორიტარია.

**თქვენ ფიქრობთ, რომ 26 მაისს საბოლოოდ დამარცხდა რადიკალური ოპოზიცია?**

ჩემი აზრით, რადიკალიზმი საქართველოში წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ამაში საზოგადოების მოწიფელობის დამსახურებას უფრო ვერდავ, ვიდრე ხელისუფლების სადამსჯელო იპერაციის. რა თქმა უნდა, რეპრესიული სახელმწიფო აპარატის პერიოდში ყოველთვის იქნება ადამიანების ჯგუფი, რომელიც სწრაფ ცვლილებას და ერთ ღამეში ხელისუფლების შეცვლას მოითხოვს, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მათ მხარს არ დაუჭერს. ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ემხრობა თავისუფალ საარჩევნო გარემოში ჩატარებული არჩევნებით მიღწეულ ცვლილებას.

**7 თვეზე მეტია, რვა ოპოზიციური პარტია ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს ცდილობს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, თუმცა ჯერ-ჯერობით არანაირი პროგრესი არ არის. ხომ არ ფიქრობთ, რომ კონსტიტუციულ ოპოზიციასაც იგივე საფრთხე ემუქრება, რაც რადიკალებს – სრული დისპრეზიტაცია საზოგადოების თვალში?**

ამ მოლაპარაკებების საფრთხე არის სააკაშვილი. თვენახევრის წინ, როდესაც მოლაპარაკებები შეჩერდა, ეს იყო პირადად სააკაშვილის გადაწყვეტილება. იგი დაეჭვდა, ხომ არ იცვლებოდა სისტემა ისე, რომ პარლამენტში მისთვის გარანტირებულ უმრავლესობას ვერ უზრუნველყოფდა. საპარლამენტო

უმრავლესობა მას ძალიან დასჭირდება იმ შემთხვევაში, თუ პრემიერად დარჩენას გადაწყვეტს.

თუმცა, ვერ დაგეთანხმებით, რომ მოლაპარაკებების ამ ფორმატს შედეგი არ მოჰყოლია. მთავარი და ამ ეტაპზე ერთადერთი რეზულტატი არის ის, რომ ამ კონკრეტული მოლაპარაკების ფორმატით ჩვენ მთლიანდ შევცვალეთ საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება სააკაშვილისადმი და ოპოზიციისადმი. ჩვენი (ოპოზიციის) წინადადადებები არის არგუმენტირებული, რაციონალური და გათვლილია შეთანხმებების მიღწევისკენ, სააკაშვილი კი არის ადამიანი, რომელიც ირაციონალურად იქცევა და მოლაპარაკების პროცესს აფერხებს. ამ ყველაფერს ძალიან კარგად ხედავს საერთაშორისო საზოგადოება და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ამავე დროს, ჩვენ ყველანაირად ცდილობთ ჩავრთოთ ამ პროცესში ქართული სამოქალაქო საზოგადოება, გვინდა ძალიან დიდი ნაწილი საზოგადოების თანამონაწილე გახდეს და დღეს ასეც არის.

და სწორედ ამ ორი ფაქტორის – საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართული საზოგადოების მხარდაჭერის შემთხვევაში, სააკაშვილი იძულებული იქნება წავიდეს ცვლილებებზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

**იქნება თუ არა ეს ცვლილებები იდეალური? რა თქმა უნდა, არა. მოგვინებს თუ არა ჩვენ გავიზიაროთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოთავაზებული წინადადება? რა თქმა უნდა, მოგვინებს. იმიტომ, რომ შეთანხმება მიღწევა მხოლოდ კომპრომისის გზით.**

როგორც ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება იმიტომ, რომ მისი თანამონაწილების გარეშე ვერაფერს შევცვლით, ისე ვჭირდებით ხელისუფლებას ჩვენ, რადგან ჩვენი თანამონაწილების, ჩვენი ლეგიტიმაციის გარეშე საერთაშორისო თანამეგობრობა არჩევნებს დემოკრატიულად არ აღიარებს. **■**

**ესაუბრა სოფო ბუკია.**

# აწინის ეჭია - სამახთობების შეფასება



თამარ ჩუგოშვილი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ნიშნავს მოქალაქეთა უფლებას, შეიკრიბონ სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, როგორც ჭერქვები, ისე გარეთ.

ეს უფლება დაცულია მრავალი საერთაშორისო აქტით და ინსტრუმენტით, ასევე საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით. იგი საქამად მაღალი დაცვის სტანდარტით სარგებლობს, ვინაიდნ ის არის დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი საფუძვლი და მისი შეზღუდვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არის დაშვებული. ამ უფლების რეალიზაცია, როგორც წესი, სახელმწიფოს დისკრიმინაციისა და უკავშირებული და მას თმების ვალდებულებას აკისრებს.

საქართველოს კონსტიტუციი კიდევ ერთი განახტია შეკრების და მანიფესტაციის უფლების დაცვაში, კერძოდ, კონსტიტუცია აკეთებს სამ მნიშვნელოვან აღნიშვნას:

„1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი წებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვები, ისე გარეთ.

2. კანონის შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხოლების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონისაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“.

საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, კანონი „შეკრებებისა და მანიფესტა-



ფოტო ვარისა ქარავაძე

ციიბის შესახებ“ განსაზღვრავს გარკვეულ შეზღუდვებს და რეგულაციებს შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესთან მიმართებით, მაგალითად: დაუშვებელია მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხმობის ან ძალადობით შეცვლისაკნ; ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია აქციის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანისათვის შეტყობინება; აკრძალულია აქციის მონაწილეთათვის იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებების, ალკოჰოლური სასმელების ქონა; აკრძალულია განზრას დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადადგილებისთვის; მათ შორის, აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა და ა.შ.

2011 წლის 21 მაისს თბილისში დაწყე-

ბული საპროტესტო აქციების შესახებ ქ. თბილისის მერიამ მიიღო შეტყობინება, რომლის თანახმად მანიფესტაციის გამართვა იგეგმებოდა 25 მაისის ჩათვლით. 25 მაისს აქცია იმართებოდა საქართველოს პარლამენტის შენობის წინ. ამავე დღეს თბილისის მერიამ აქციის მონაწილებს მოსთხოვა აქციის ადგილის შეცვლა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით აღტერნატიული ადგილები შესთავაზა, რაზეც აქციის ორგანიზატორებმა და აქციის მონაწილეებმა უარი განაცხადეს.

საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ ხელისუფლებას ანიჭებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს შეკრება ან მანიფესტაცია, რომელიც კანონის მოსთხოვათა დრღვევით იმართება. თუმცა აյ მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმა-

ლური საფუძველი (შეტყობინების ვადის გასვლა, გზის გადაკეტვა) არ ამართლებს სამართალდამცავთა მიერ აქციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მიუხედავად კანონით მინიჭებული უფლებამოსილებისა, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან იმოქმედონ საზოგადოების ინტერესების პროპორციულად, აქციის მონანილეთა ფუნდმენტური უფლებების გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მიღეს აქციის დაშლის გადაწყვეტილება და როგორც შემდგომში საზოგადოება გახდა მომსწრე, გადამეტებული ძალის გამოყენებით მოხდა აქციის დაშლა.

ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლითაც უნდა მოქმედებდეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლი, არის ჰუმანიზმის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს იმაზე მეტი ძალის გამოყენება, ვიდრე ეს აუცილებელია კონკრეტული საფრთხის გასანიტრალებლად. არ დაშვება, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები და საშუალებები ზიანს აყენებდეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას.

სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა რეზინის ჭურვები, აკუსტიკური იარაღი, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ხელკეტი და ა.შ. დაშვება მხოლოდ და მხოლოდ პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, პოლიციელი ვალდებულია, ამგვარი საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა.

მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აქციის დაშლას მოჰყვა უკვე დაკავებული დემონსტრაციების ცემა, რომლებიც პოლიციას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ. გავრცელებული კადრებით ნათლად ჩანს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ფიზიკურად აქციის უკვე დაკავებულ მონანილებს.

ადგილი ჰქონდა უურნალისტების პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლას, ცემას და აპარატურისა დაზიანებას.

ამგვარი ძალის გადამეტება წარმოად-

გენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, კერძოდ: „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას“ და „უურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონდებ ხელის შეშლას“ ან უფრო მსუბუქი დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინურ პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ფაქტები უნდა იქნას გამოძიებული და კანონდამრღვევი პირები უნდა მიეცნენ პასუხისმგებაში.

ამავე აქციის დაშლის დროს სამართლ-

## ■ ამგვარი ძალის გადამეტება წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, კერძოდ: „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას“ და „უურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონდებ ხელის შეშლას“.

დამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა წინააღმდეგობის განევისთვის დააკავეს აქციის მრავალი მონაწილე. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დაკავებული პირების ინტერესების დაცვის დროს წარმოდგენ სხვადასხვა სირთულეებს და დარღვევებს, კერძოდ:

► დაკავებულთა ვინაობისა და ადგილამყოფების შესახებ დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფორმაციის მიღება თითემის შეუძლებელი იყო; საია-ს ადგილის არ ეძღვებოდა თესაბამებლობა, მოენაბულებინათ დაცვის ქვეშ მყოფი პირები წინასწარი მოთავსების იზოლატორში.

► წინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ მომდებარა დაკავებულ პირთა სიის გამოქვეყნება, არც დაკავებულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა დაკავშირებოდნენ ახლობლებს, შესაბამისად, დაკავებულთა ოჯახის წევრებს რამდენიმე დღის განმა-

ულობაში არ ჰქონდა ინფორმაცია მათი ახლობლების ადგილსამყოფელის შესახებ.

► საია-ს ადგილისტებს სასამართლოში სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ დაკავებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით. მათ, აგრეთვე, თავიდან არ მიეცათ დაცვის განხორციელების შესაძლებლობა.

► დაკავებულ პირებს აღნიშნულდათ ფიზიკური დაზიანებები. მოსამართლეების მხრიდან, როგორც წესი, აღნიშნული ფაქტები რეაგირების გარეშე რჩებოდა – ისინი არ ინტერესდებოდნენ, თუ რა ვთარებაში მოხდა აღნიშნული დაზიანებების მიღება.

► ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა საქმეებზე ერთადერთი მტკიცებულება, რასაც სასამართლო ეყრდნობოდა, იყო პოლიციის თანამშრომლის ახსნა-განმარტება, სამწუხაროდ, სასამართლო არ ინტერესდებოდა დამატებითი მტკიცებულებების არსებობის ფაქტით. ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან არ ხდებოდა იმის გამორკევა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა დაკავებულის მხრიდან პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

► პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენლი და სასამართლზე წარმოადგნილი სამართლდარღვევის ოქმები აბსოლუტურად იდენტური იყო და განსხვავდებოდა მხოლოდ დაკავებული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაწილში.

► რიგ შემთხვევაში დაფიქსირდა არა-თანაბარი მოპყრობა დაკავებულ პირებთან მიმართებაში: კერძოდ, თავდაპირველად დაკავებული პირების მიმართ, რომლებიც აღიარებდნენ სამართლდარღვევის ჩადენის ფაქტს, სახდელის სახედ გამოიყენებოდნენ პატიმრობას ან ეძღვებების მეტობის გარემოებებს კარგი გარემოებებს, რამდენიმე დარღვევას გადამეტებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე დაკავებულმა პირმა უარი განაცხადა ადგილის დახმარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს აღნიშნულდა გარეგნული დაზიანებაში. მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი აჩვენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს და ეჭვს, რომ დაკავებულებზე ზემოქმედი დაგენერირდა. ■

# ბუჩანაპი - ხელსაყრდნი გამოცხადება



მარკ მაიერი

ამ დღეებში ნინო ბურჯანაძის და მისი გარემოცვის მიზანი ძალიან სპეციფიკური იყო. მათ სურდათ შეექმნათ სიტუაცია, რომლის ამსახველი ფოტო და ვიდეოკადრები საქართველოს ნარმობრენდა ეგვიპტესა და ტუნისში დაწყებული დემოკრატიული ტალღის გაგრძელებად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შექმნილ სიტუაციას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც დღეს „არაბულ გაზაფხულს“ უწოდებენ, ბურჯანაძემ თავის მიზანს მაინც მიაღწია. ბევრი ადამიანი მირეკავს და მეკითხება, თუ რამდენად უსაფრთხოდ გრძნობს ჩემი ოჯახი საქართველოში თავს. მათ არ იციან დეტალები, ისინი მხოლოდ ფოტოებს ხედავენ და მათვის ეს საკმარისია, რათა თბილისი კატასტროფის ადგილად აღიქვან.

ბურჯანაძე და რამდენიმე სხვა პოლიტიკური ჯგუფი ოპოზიციაში არ იმყოფება და მათ ოპოზიციას არ უნდა უწოდებდნენ. „იპოზიციაში ყოფნა“ ნიშნავს, არ ეთანხმებოდე ხელისუფლებას. ანტიდემოკრატიულ ძალებს საქართველოში სურთ ხელისუფლების შეცვლა და სხვა არაფერი აინტერესებთ; არ აინტერესებთ სახელმწიფო პოლიტიკა, ხალხი, თავიანთი მიმდევრები ან ქვეყნის დამოუკიდებლობა. მათი მიდგომა ძალიან ჰგავს კრემლის მიდგომას. კრემლმა იცის, რომ საქართველოს პოლიტიკაზე პირდაპირი გავლენა არ აქვს და ამიტომ მისი მიზანი საქართველოში არასტაბილურობის გამოწვევაა. კრემლს ასევე შეუძლია საერთაშორისო აზრზე გავლენის მოხდენა ისეთი პროცესების ხელშეწყობით, რომლებიც გასულ კვირას გავრცელებული ფოტოებისა და ვიდეოების მსგავს მასა-



ლებს შექმნის. საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს შიდა პოლიტიკის დატაღებით ნაკლებად არის დამტერუსებული, ისინი ხედავენ მხოლოდ დრამატული მოვლენების ამსახველ ფოტოებს იქმნები, საქართველოსა და ლიბიაში და ნარმოდგენებს მათზე დაყრდობით იქმნიან.

საქართველოს სიტუაცია, რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავებულია. ბურჯანაძეს ჰქონდა და აქვს მინიმალური სახალხო მხარდაჭერა, მაგრამ მისთვის ეს მთავარი სულაც არ არის. ის გამუდმებით ჩანს მედიაში, მათ შორის მთავრობის მიერ მართულ არხებზე. საქართველოს მთავრობა სულ იმას ჩივის, რომ ოპოზიცია სულ ტელევიზიაში ჩანს და ამ თემაზე პრეტეზიებს არ უნდა გამოოქვამდნენ. ჯგუფი, რომელიც ხალხისგან დამალულია, დემოკრატიული ოპოზიციაა. დემოკრატიული ოპოზიცია აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას, დეტალურად საუბრობს ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, იმ კანონებზე, რომელთაც ხელისუფლება არღვევს და სახელისუფლებო კორუფციაზე. ეს თემები მთავრობისთვის მტკიცნეულია და ამიტომ მათ ურჩევნიათ, რომ ტრიბუნა იმ არაპოპულარულ ოპოზიციულ ჯგუფებს დაუთმონ, ვინც მთავრობის დამხობას და ძალადობას ქადაგებს. მედიაში არადემოკრატიული ძალების გაშუქებით, ხელისუფლება რამდენიმე მიზანს აღწევს: ყველა თავის ოპონენტს ერთ ფერში ხატავს, საქართველო ჩიდება, როგორც თავისუფალი მედიის ქვეყანა, რომელშიც ხელისუფლების მონინაალდეგებსაც ეჭლევათ გამოხატვის საშუალება და მთავრობის რეალური კრიტიკა იფარება.

ბურჯანაძეს საზღვარგარეთ კარგად იცნობენ. მას საქართველოში დიდი გავლენა არასროოს ჰქონია, მაგრამ იგი მისმა მიზანი პოზიციებს იკავებდა. ორჯერ ის მოქმედი პრეზიდენტი იყო და ორჯერ – პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში, 2004-2008 წლებში, მთავრობას მასთან დადებული ჰქონდა გარიგება, რომელიც ორივე შესრითობის მომგებიანი იყო. მთავრობას შეეძლო პარლამენტში დაემტკიცებინა.

თითქმის ყველა კანონი, რომელსაც მოისურვებდა და ბურჯანაძე ამ საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო (გარდა ნაკლებად მნიშვნელოვანი შემთხვევებისა). სანაცვლოდ, იგი ხდებოდა გამორჩეული ფიგურა, აწყობდა ვიზიტებს საზღვარგარეთ, სადაც ხდებოდა საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი შემთხვევებს და იყენებდა თავისი ინგლისურს. ამასობაში, პარლამენტი იქცა უბრალო ფორმალობად – მცირე ადმინისტრაციულ დაბრკოლებად, რო-

## ■ თუ ამ მიტინგების მოტივაცია

**მთავრობის გამოწვევაა, მაშინ**

**მთავრობისგან საუკეთესო**

**პასუხი თავის შეკავება გამოდის.**

**ამ შემთხვევაში კი, აღლუმი არ ჩატარდებოდა. იყო აღლუმი**

**ასეთი მნიშვნელოვანი?**

ვინმე ლაპარაკობდა მასზე?

მსოფლიოში ამისთვის


**ნამდვილად არავის მიუქცევია** ყურადღება, მაგრამ არც

**საქართველოში გამიგია, რომ** ვინმეს მასზე რამე ეთქვას. მე ვნახე ეს აღლუმი და ჩემთვის ის იყო არა ძალის, არამედ სიჯიუტის დემონსტრირება. შთამბეჭდავი იქნებოდა, თუ ხელისუფლება აღლუმს გააუქმდა, დამოუკიდებლობის დღეს სხვაგან აღნიშნავდა და იტყოდა, რომ მომიტინგებებს, ზიანის მიყენების გარეშე, ვერ აიძულებდა დაშლას და აღლუმის გაუქმდით ამ უხერხულობას აირიდებდა თავიდან.

საქართველოს სჭირდება, რომ პოლიტიკურმა დისკუსიებმა პარლამენტში გადაინაცვლოს. ახლა არავის ანაღვლებს, თუ რა ხდება პარლამენტში... და პრინციპები, რატომ უნდა ინაღვლონ? ჩვენდა სახარბიელოდ, წელიწადნახევარში საპარლამენტო არჩევნებია. თუ მთავრობას სურს, რომ დისკუსიებმა იქ გადანაიცვლოს, მაშინ ოპოზიცია პარლამენტში უნდა შეუშვას. ახლანდელი სარჩევნო კანონით, თუ მოსახლეობის ორი მესამედი მმართველი პარტიის სანინალმდეგვარი დისკუსიებში ასახული მისამართება, მაგრამ ის მინც შეძლებს საპარლამენტო ადგილების ორი მესამედის აღებას. საქართველოსთვის არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული უსაფრთხოების საკითხი, ვიდრე საარჩევნო კანონის შესახებ მონიციური „რვიანის“ დისკუსიების. საქართველოს ექლევა რეალური შანსი, რომ პარლამენტში დემოკრატიულ ოპოზიცია შევიდეს და ამ ოპოზიციამ გაკვეული გავლენა მოიპოვოს.

იქამდე კი, ანტიდემოკრატიული ძალები იხმაურებენ, პოლიტიკურ დიალოგს დააბინძურებენ და რეალურ თემებზე დისკუსიების გამართვას ხელს შეუშლიან. და არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც ეს ყველაფერი ხელსაყრელია. **■**

## ბანაცითიცი საქათვეოს ხელისუფლებისთვის, ოპოზიციისთვის და აღმართვისთვის



გიორგი ჭხადაია



თავდაპირველად აღვნიშნავ, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ამერიკის მხარდაჭერა. დღეს ეს არის აუცილებელი პირობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის, ეს არის ჩვენი შანსი, შევინარჩუნოთ სუვერენიტეტი, განვავითაროთ დემოკრატია და უზრუნველყოთ ეკონომიკური წილი.

ამის საპირისპიროდ, რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევა ნიშნავს ქვეყნის უფლებო კოლონიად ქცევას, უცხო ძალების მიერ საქართველოს რესურსების ბოროტად გამოყენებას და კლანური სისტემის გამტკიცებას.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ დღევანდელი სიტუაცია იდეალურია. ჩვენი მთავრობა ნახევრად ავტორიტარული და კლანურია, რომელიც არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გა-

მოყენებით რჩება ხელისუფლებაში, ხელს უშლის ბიზნესის თავისუფლებას და დამოუკიდებელი ოპოზიციის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

სწორედ ამიტომ, ჩვენთვის ამერიკის მხარდაჭერას ალტერნატივა არ აქვს. 2003-2004 წლებში ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, აგველო პროდასავლური კურსი და საბოლოოდ, გავწევრიანებულიყვანით ნატოსა და ევროკავშირში. თუ პროდასავლურ გზას ბოლომდე გავყვაბით, მხოლოდ მაშინ მოგვეცემა რეალური შანსი, რომ ჩამოვაყალიბოთ დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო. თუ დღეს ამ შანსზე უარს ვიტყვით, მაშინ სამუდამოდ ჩავრჩებით კლანურობის, კორუფციისა და ძალადობის ჭაობში. გარემოებებისადმი დამორჩილება და პროდასავლური კურსიდან გადახვევა გა-

მოიწვევს თავისუფლებისა და დემოკრატიის მიღწევის იმედზე უარის თქმას და მძიმე პოლიტიკურ სტაგნაციას.

აქედან გამოდინარე, აუცილებელია, რომ ხელისუფლების ავტორიტარულ მიდრევილებებთან ბრძოლა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პროდასავლური და პროამერიკული კურსის ჩარჩოში.

ასეთი თანმიმდევრული და მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებას კი ხელს უშლის ოპოზიციის ერთი ნანილის უპასუხისმგებლო ქმედებები, რომელიც არათუ ასუსტებს, არამედ აძლიერებს სააკშილის რეჟიმს და თამაშობს ძალზე სამიშ ანტიამერიკულ და ზოგ შემთხვევაში, პრორუსულ სენტიმენტებზე.

ასეთ სიტუაციაში, საქართველოში ამერიკის საელჩოს პოზიცია უაღრესად ფრთხილი და გაწონასწორებელი უნდა იყოს.

ხელისუფლება ყოველთვის ეცდება, ამერიკის მთავრობის პოზიცია თავისი მართლასანინალმდეგო საქმების გასამართლებლად გამოიყენოს (როგორც 26 მაისს, მიტინგის დარბევისას მოქადა). შედეგად კი, ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი ქვეყნის ყველა პრობლემას ამერიკას დააბრალებს და მოსახლეობაში რუსეთის მიმართ სიმპატიის გაზრდას შეცდება.

აშშ-ის ელჩის, ჯონ ბასის განცხადება, რომელიც მან 25 მაისს, მიტინგების დარბევამდე გააკეთა, სწორედ ამის მაგალითი იყო.

„შემფოთებული ვარ ცნობებით, რომ მომიტინებებს შორის არიან გარკვეული ელემენტები, რომლებიც ძალადობის გაღვივებით უფრო მეტად არიან დაინტერესებული, ვიდრე მშვიდობიანი პროტესტის გამართვით. მე ვფიქრობ, რომ ეს მიდგომა აუფასურებს მათ მესიჯს და ამტირებს მათ სანდობას. და საბოლოოდ, ეს პოზიცია არ ემსახურება იმ ცვლილებების მოტანას, რომელსაც ისინი ქადაგებრნ“, – თქვა აშშ-ის ელჩიმა.

ხელისუფლებამ აღნიშნული განცხადება აქციის დაშლისას ძალის გადამეტების გასამართლებლად გამოიყენა: ხელისუფლების ლოგიკით, თუ მომიტინებებს შორის მოძალადები იყვნენ, მაშინ მათი სათანადოდ დასჯა იყო საჭირო. რა თქმა უნდა, ამერიკის ელჩი არ გულისხმობდა მიტინგის იმ ფორმებით დარბევას, რაც 26 მაისს ვიხილეთ.

„მე შემფოთებული ვარ იმ ცნობებით, რომ მიტინგის დარბევის დროს ადგილი ჰქონდა სამართლდამცავების მხრიდან ძალის გადამეტებას. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ეს ბრალდები სათანადოდ გამოიძიოს... ამავე დროს, ჩემთვის გუშინ სრულიად ნათელი იყო, რომ მომიტინებებს შორის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებული მშვიდობიანი პროტესტით,“ – განცხადა აშშ-ის ელჩიმა უკვე 26 მაისს.

თუმცა ხელისუფლებისთვის მთავრი ჯონ ბასი 25 მაისს განცხადება იყო. ეს განცხადება მთავრობამ შექმნილი სიტუაციიდან თავის დაძრევანაში დაიხმარა და ხელიდან არ გაუშვა შანსი, რომ ოპო-

ზიცია ბოლომდე გაეტეხა. ოპოზიციის მომიტინებები ნაწილისთვის ამ დროს ერთადერთი იმის ცდუნებადა რჩება, რომ ყველაფერი ამერიკას გადააბრალონ და ანტიამერიკული რიტორიკა გააძლიერონ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ნაწილი დარბევამდეც ანტიამერიკული განწყობით იდგა მიტინგზე.

დღევანდელი უხერხული სიტუაციი-

ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ერთი (ყოფილი) ელიტის დაპირისპირება დღევანდელ (სახელისუფლებო) ელიტასთან. ოპოზიციის ამ ჯგუფმა მასების მობილიზაცია ვერ შეძლო და უკანასკნელ ბრძოლაშიც დამარცხდა. იმავე ბრძოლაში წაგებული დარჩენები სხვა ოპოზიციური ძალებიც, რომლებიც კლანური პრინციპებით მოქმედდენ და ზოგჯერ ხელისუფლებასთან გარიგებაზე წასულაზეც არ ამბობდნენ უარს.

ეს შემთხვევა გაკვეთილი უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც ქართულ პოლიტიკაში წარმატების მიღწევა სურს.

ქართულმა ოპოზიციამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში რეალური ცვლილებების მიღწევა მხოლოდ პროგრესული და სახალხო პოლიტიკით, მშვიდობიანი გზებით შეიძლება.

ხელისუფლებისთვის კი ნათელი უნდა გახდეს, რომ მისი თვითნებური და გადამეტებული ქმედებები საფრთხეს უქმნის მისავე დეკლარირებულ პროამერიკულ კურსს.

თუ მხარეები ერთმანეთის პოზიციებს და ინტერესებს გაიაზრებენ, სავსებით შესაძლებელია, რომ ყველასთვის მოგვებიან ვარიანტზე შეთანხმდენებ: პროდასაცლური, დემოკრატიული საქართველოს განვითარებაზე.

რა თქმა უნდა, ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილისთვის ამის მიღწევა იოლი არ იქნება, თუმცა თეორიულად ეს ისევე შესაძლებელია, როგორც 2003 წელს იყო „ვარდების რევოლუცია“. ნებისმიერი კლანური და ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი სახელმწიფო ეფუძნება ძალზე მყიფე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძლებს, რომელიც, თანმიმდევრული ზენოლის შემთხვევაში, ადვილად იშლება.

სწორედ ახლა, ამერიკის მთავრობამ უნდა განაგრძოს საქართველოში დემოკრატიული პროცესების წახალისება. ამერიკის საელჩო უნდა ეცადოს, საქართველოს ხელისუფლებას არ მისცეს საშუალება, რომ ამერიკული მხარდაჭერა ბორტად გამოიყენოს, ოპოზიციის ერთ ნაწილს კი – იმის საბაბი, რომ ანტიამერიკული რიტორიკა ააგოროს და სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავოს. 

## ■ ხელისუფლება

**ყოველთვის ეცდება, ამერიკის მთავრობის პოზიცია თავისი მართლასანიალმდეგო გამოიყენება საქმების გასამართლებლად გამოიყენება. შედეგად კი, ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი ქვეყნის ყველა პრობლემას ამერიკას დააბრალებს და მოსახლეობაში რუსეთის მიმართ სიმპატიის გაზრდას შეეცდება.**

დან ქვეყნის და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების გამოყვანას მხოლოდ ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილი შეძლებს – ის ძალები, რომლებიც მშვიდობიან პოლიტიკურ ცვლილებებს უქმერენ მხარს. ამ შემთხვევაში, მათთვის ერთადერთი გამოსავალია, დაიკავონ ის ნიშა, რომელიც დღემდეც ცარიელია: პროდასაცლური, „ანტი-სახელისუფლებო“, დემოკრატიული სახალხო პოზიცია.

სააკმევილის ხელისუფლების კრიტიკას ჯანსაღი ოპოზიცია დასავლეური კურსიდან გადახვევის გარეშეც შეძლებს. ამგვარი იპოზიცია მიზიდავს ახალგაზრდებაც – მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელიც ბოლო სამი-ოთხი წელი, ქართული პოლიტიკიდან სრულიად გაუჩინისარდა.

ბურჯანაძე/ბინაძის ხელისუფლებასთან დაპირისპირებას უმთავრესად ელიტური

# ბანზებას ეამასინჯიბული ჩვალობა



ნინო დანქელია, მედიამკულევარი

მაშინ, როცა რუსთაველზე შეკრების დაშლა დაიწყო და საქართველო კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრში, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მხატვრულ ფილმს აჩვენებდა, „რუსთავი 2“ – ინტელექტუალურ თამაშს „რა, სად, როდის“, ხოლო „იმედზე“ პოკერს თამაშობდნენ.

ნაციონალურმა მაუწყებლებმა მაყურებელი იმ წუთებში ინფორმაციის გარეშე დატოვეს. „რუსთავი 2“-მა მოგვიანებით დაიწყო მოვლენების გაშუქება, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ კი მხოლოდ საათნახევრის შემდეგ გაახსენდა მისი უპირველესი მოვალეობა – მიუკერძობლად და დროულად მიაწოდოს მაყურებელს ობიექტური ინფორმაცია.

„სახალხო კრების“ (დავამატებდი ეპითეტებს „უბასუხისმგებლო“, „რუსეთიდან მართული“, „მარგინალური“, „რადიკალური“ და ა.შ.) აქციების გაშუქებას ტელეკომპანიების საინფორმაციო გამოშვებებში სისტემურად არ დავკვირვებივარ, ამიტომ წერილი სრულიად არააკადემიურია. თუმცა ის, რაც ვნახე, გარკვეულ ტენდენციებზე საუბრის საშუალებას ნამდვილად იძლევა.

21 მაისს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს ყველა ტელეკომპანია სახალხო კრების აქციით იწყებს. „კურიერი“ და „ქრონიკა“ მიტინგის ლიდერთა რუსულ კავშირზე, მათ შეუსრულებელ დაპირებებსა და აქციის არამშვიდობიან ხასიათზე აკეთებს. არაფერია მათთვის და შესაბამისად, მათი მაყურებლისთვის ცნობილი მომიტინგებათავის რაიონიდან თბილისში ჩამოსვლისას შექმნილ პრობლემებზე.



ამაზე არც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საუბრობს, თუმცა შპაბათს, რვა საათზე, მისი საინფორმაციო გამოშვების პირველი სიუჟეტი სრულად აღწერს იმ დღის განვითარებულ მოვლენებს, რამდენჯერმე პირდაპირ ეთერში რთავს აქციის მთავარ ორგანიზატორს ნინო ბურჯანაძეს და „მეორე არხი“ მთელ აქციას პირდაპირ ეთერში გადასცემს. „კავკასია“ მის ხელთ არსებული მწირი რესურსებით ინარჩუნებს მოუკერძოე-

მედია, ქართველ მაყურებელს რუსთაველზე, 12 საათზე მიმდინარე მოვლენის შესახებ მხოლოდ ოფიციალური ქრონიკა ეცოდინებოდა. მხოლოდ ამ მედიასაშუალებებმა თქვეს და აჩვენეს, როგორ ინვენტ ხელებშეკრული ადამიანები რუსთაველის პროპექტზე და მათ თავზე ადგენენ პოლიციელები, როგორ ურტყამდა რამდენიმე პოლიციელი ერთ უიარაღო ახალგაზრდას, როგორ მიჰყავდათ დაშავებულები საავადმყოფოში

ტრიბუნები. მაშინ, როცა იქვე, ორიოდე მეტრში რამდენიმე სპეცრაზმელი უიარაღო ადამიანს, პატარა ბავშვს, მოხუც მამაკაცს უმოწყალოდ სცემდა.

დღის განმავლობაში უკვე აღადმინთავი „რუსთავი 2-სა“ და „იმედზე“. გულდანყვეტილი ვუყურებდი, როგორ გაჩნდა „მაესტროზე“ საქართველოში აკერედიტებული დიპლომატიური კორპუსის სანინალმდეგო კონტექსტი, ხოლო „საზოგადოებრივ მაუწყებელ-

## ■ მაშინ, როცა რუსთაველზე შეკრების დაშლა დაიწყო და საქართველო კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრში, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მხატვრულ ფილმს აჩვენებდა, „რუსთავი 2“ – ინტელექტუალურ თამაშს „რა, სად, როდის“, ხოლო „იმედზე“ პოკერს თამაშობდნენ.

ბლობას, ხოლო „მაესტრო“ ცდილობს მიტინგის მხარდაჭერას და საზოგადოების მობილიზებას — მისი მთელი საინფორმაციო გამოშვება ამ თემას ეძღვნება, ერთ გამოშვებაში რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე კადრები და სიუჟეტები, რომელთა რიტორიკა ხელს უწყობს დაძაბულობის ესკალაციას.

კვირას და მომდევნო დღეებში „მაესტრო“ უარს ამბობს მოვლენის პრობაგანდაზე და ცდილობს, საზოგადოებას მეტი ექსპრტული მოსაზრება შესთავაზოს. ამავე დროს, ახერხებს იმ რამდენიმე პოლიციელის იდენტიფიცირებას, რომელიც სამიერადაქო ტან-საცმელში მივიდა მიტინგზე და დაპირისპირების პროვოკირება მოახდინა. კვირასვე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ტოკ-შოუში „აქცენტები“ არაფერია ნათქვამი აღნიშნულ დაპირისპირებაზე, ხელკეტებით ჩხებში მონაწილე პირთა ვინაბაზე და ნაჩვენებია მხოლოდ ბურჯანაძე-გაჩერილაძის ნარსული დაპირისპირების მიმოხილვა.

რიტორიკა უცვლელი რჩება სატელევიზიო არხებზე 26 მაისამდე, როცა მიტინგი ძალის გამოყენებით დაშალა პოლიციამ. სწორედ ამ დღეს გამოჩნდა ყველაზე ნათლად საინფორმაციო არხების პოლიცია. რომ არ ყოფილიყო ტე-ლეკომპანია „მაესტრო“ დაზიანების მიმდევად, როგორ დაზიანდა აღლუმისთვის მომზადებული

და ა.შ. განსხვავებები ნაციონალურ და ლოკალურ არხებსა და ინტერნეტ მედიას შემორის დიდი იყო. „კურიერში“ აჩვენებდნენ, რომ მომიტინგებს ხელში აგურები და ბოთლები (ე.ნ. მოლოტოვის კოქტეილები) ეჭირათ. აჩვენებდნენ, როგორ ემზადებოდნენ დროშის ტარებით შეიარაღებული მომიტინგები სპეცრაზმის დასახვედრად, როგორ ისროლა რამდენიმე ადამიანმა ბოთლი, სავარაუდოდ, მოლოტოვის კოქტეილი სპეცრაზმის მიმართულებით. ასევე, როგორ იძოვა პოლიციელმა ამგვარი ბოთლების გროვა და უვნებელყო ისინი. „მაესტროს“ მოლოტოვის კოქტეილების და აგურების კადრები არ ჰქონია.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ კი საერთოდ დუმდა საათნახევრის განმავლობაში. ეთერში გასვლისას კი გულმოდგინე სიზუსტით აჩვენა, როგორ ალაგებს დასუფთავების სამსახური პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას და მთელი აქცენტი გადაიტანა იმაზე, თუ როგორ ჰქონდა მთავრობას ამ არასანქციორებული მიტინგის დაშლის ყველა სამართლებრივი საფუძველი. არცერთი ინფორმაცია დაშავებულებზე, დაკავებულებზე, დაკარგულებზე. „კურიერის“ უცრნალისტი კი პარლამენტთან დანანებით ყვებოდა, როგორ დაზიანდა აღლუმისთვის მომზადებული

ზე“ ტოკ-შოუ „დიალოგში“ ისევ ირჩეოდა ნინო ბურჯანიძის რესეთთან კავშირები, ისევ ისმოდა სრული თანხედრა სახელისუფლო რიტორიკასთან და კითხვაც კი არ გაჩენილა, მიტინგზე დაშავებულ-დაკავებული ადამიანების, ზოგადად, ადამიანის და კონკრეტულად, უცრნალისტების უფლებების დარღვევის, ხელისუფლების მიერ გამოყენებული ტაქტიკის სისწორის, სპეცრაზმელთა პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის შესახებ. ხელისუფლების არცერთი ქმედების შესახებ სკეფსისი არ გამოითქმის. თუმცა, იმავე გადაცემაში სრულიად უსაფუძვლოდ გაჩნდა ეჭვი ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოს შესახებ ანგარიშის სანდობის შესახებ.

აკონტროლე ხელისუფლება და გახადე ანგარიშვალდებული საზოგადოების ნინაშე, იყავი ლოიალური შენი საზოგადოების და არ ხელისუფლების მიმართ, მიუკერძოებლად და დროულად მიანიდე საზოგადოებას ობიექტური და ყოველმხრივი ინფორმაცია — რამდენიმე უმთავრესი პრინციპი, რომელიც ნაციონალურმა არხებმა სამთავრობო დისკურსით ჩანაცვლებს, მაყურებელს მოვლენების მხოლოდ მათვების სასურველი ფრაგმენტები მიაწოდეს და ასე, განზრახ, დაამახინჯეს რეალობა. □

# მეტენტი მსხვერპლისა და "მცხოვრილი აღმიაშნები"



დავით ბუხრიკიძე



ფოტო გვიათა გამოიცვალა

უკვე მერამდენედ, საქართველოს უახლეს ისტორიაში, მსხვერპლშეწირვის რიტუალი ისევ პარლამენტის შენობის წინ გათამაშდა. 26 მაისის შემდეგ ჩემმა მეგობარმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ „სძულა ეს შენობაც და ეს ადგილიც, რადგან ერ-

თიც და მეორეც დაღურილი სისხლისა და ძალადობის გამეორების შეხსენებაა“... და არასოდეს გაუჩნდება სურვილი, იქ რამე იზეიმოს. მიუხედავიდან იმისა, რომ გამეორება, წესით, მეხსიერებას უნდა ავარჯიშებდეს და აზროვნებას აუმჯობესებდეს, პი-

რიქით ხდება: უცნაური თუ ჯიუტი გულუბრყვილობით ვიმეორებთ პარლამენტის წინ თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით გამოგონილი მსხვერპლშეწირვის რიტუალს.

„საბჭოთა“ მეხსიერების მქონეთ პირველი რიტუალი, უფრო ზუსტად,

UCNOBI FM 98.0



# თვალსაზრისი

მისი მოთელვა, ჯერ კიდევ 1978 წელს ახსოვთ. მაშინ უნივერსიტეტის ახალგაზრდობამ ქართული ენის კონსტიტუციური უფლება, საბედნიეროდ, ძალადობის გარეშე დაიცვა... სამაგიეროდ, 1989 წლის 9 აპრილის გამოხდისას სისხლი საბჭოთა ჯარმა დაღვარა, რომელმაც ნიჩბებით სასტიკად დარბია მთავრობის სახლის წინ მოშიმშილეთა აქცია; ხოლო ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ხალხი, ფაქტობრივად, ტანკებს შეატოვეს... არადა, ამ აქციის მშეიძობიანად დასრულება, დათმენა და შემდგომი მოვლენების ფხიზელი განალიზება შესაძლებელი იყო.

შემდგომი რიტუალი, უკვე საბჭოთა ეპოქის მახინჯი ქანდაკებების გარეშე, 2007 წლის 7 ნოემბერს გამეორდა: კრიზისში მყოფმა „ვარდების“ ხელისუფლებამ ირაციონალური სისასტიკით დაარბია მოშიმშილებიც და მომიტინგებიც, რისი აუცილებლობაც სრულებით არ ყოფილა. კიდევ უფრო სასტიკი სცენარი რამდენიმე დღის წინ, 26 მაისს, გამოხდისას გამეორდა, რასაც სამწუხაროდ, მსხვერპლი ისევ მოჰყვა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მრავალჯერ განმეორებული, სასტიკი და დამცინავი თეატრალურობით გათამაშებული ეს რიტუალები უსასრულოა.

უპასუხიშიმგებლო მსხვერპლშეწირვის ახალი რიტუალი გაკოტრებულმა პოლიტიკოსმა ბურჯანაძემ და კომპანიამ ძალიან გაცევეთილი და ნაცნობი სცენარით ნამოიწყო. თუმცა ორგანიზატორთა მიერ მოწყობილი პროვოკაციების სურვილი იმდენად მაღალი იყო, ხოლო თავმოყრილი ხალხის მრისხანება - საშიში, რომ სისხლისდვრა ბედისხერასავით ფინანში გარდაულად ჩანდა. ეს იყო თან „დე უკვიუ“ და თან პაროდია; როგორც წლების წინ, როცა მსხვერპლის აუცილებლობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარადიგმაში ჯდებოდა. უბრალოდ, ამჯერად „მსხვერპლის“ და „ჯალათის“ როლში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. უფრო მეტიც, ბურჯანაძე დიდი ხნის

განმავლობაში თავად წარმოადგენდა ხელისუფლებას. ყოველ შემთხვევაში, 7 ნოემბრის მოვლენების დროს.

ფრანგი ფილოსოფოსის პიერ ნორას ენით რომ ვთქვათ, პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია ჩვენი ქვეყნის-თვის ერთგვარი „მეხსიერების ადგილია“, სადაც ისტორია განუწყვეტლივ მეორდება. რადგან ნორას თქმით, „მოვლენები და პროცესები ყოველთვის მიბმულია გარკვეულ ადგილთან და მოვლენებთან“. ამდენად ჩვენთვის პარლამენტის შენობის მიმდებარე სივრცე უფრო გამეორებულ, დასწავლილ, საბედისნერო წყველას უფრო უკავშირდება, ვიდრე სააღლუმო ან სადღესასწაულო სივრცეს.

როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის ოცი წელი ჯერ კიდევ მცირე დროა ტოტალიტარული ყოფის ბრძლი გვირაბიდან გამოსასვლელად. ვერც შეუცნობელი დემოკრატიის გავეთილები დავისწავლეთ. ჩვენ ნელა, მთანაველი რეფლექსიებით, მაგრამ მაინც გამოვდივართ ამ მდგომარეობიდან, ამიტომ შეუძლებელია, იმ უდარდელად საშინელი დროის და რეპრესიების გამოცდილების კვალს არ ვატარებდეთ.

მთელი თაობები ისე გაიზარდნენ, რომ რეპრესიებისა და ძალადობის მექანიზმი ახსნილი არ იყო. ან თუ იყო, მხოლოდ სწორხაზობრივი მედია-პროპაგანდით და შელამაზებული „ოკუპაციის მუზეუმით“. არსებითი და რეალური კი ყოველთვის სადღაც რჩებოდა. ამიტომ ძალადობრივი ბუნება ჩვენს პოლიტიკურ სივრცეს მუდამ თან სდევდა, თავს დასტრიალებდა, მაგრამ ცხოვრებას რეალურად ვერ ცვლიდა. დაუსრულებელი „9 აპრილების“ და „7 ნოემბრების“ დრამა სწორედ საზოგადოების ინფანტილიზმაც გულისხმობს და გულუბრყვილობასაც.

ცალკე საუბრის თემაა ზემოთ აღნერილი მსხვერპლშეწირვის გამართლება, ან მისი ახსნა ხელისუფლების ძალადობრივი ბუნებით. სხვათა შორის, ხელისუფლების უფკუობით თავსდამტყდარი ტრაგედიები და სხვადასხვა

ოპოზიციური პარტიების მუდმივი თვითგვემა თუ თვითგანადგურება თან ავსებს და თან კეპავს ერთმანეთს. სპეცულაციებისათვის დრო და ადგილი ყოველთვის რჩება: რუსეთი არა მარტო კავკასიის გადაღმაა, არამედ აქვეა, ორმოც კილომეტრში; უპასუხისმგებლო პოლიტ.პარტიები უხვადაა, ამბიციური ლიდერების მადა – დაუცხრომელი.

ქვეყნის ნორმალური განვითარება საღი გონებით მოძებნილ პოლიტიკურ კონსენსუსს გულისხმობს, რაც ჩვენთვის ჯერ კიდევ მიუღწეველი პერსპექტივაა. ეს რაღაცით პეგავს „უძაფო დაზებით ქარის ქსოვას“ (ტომას ელიოტის ლექსის ცნობილ მეტაფორას). ელიოტის „ჯერონშენი“ ძველ, დანგრეულ სახლში მცხოვრებ მოხუცზე მოგვითხრობს, რომელიც ერთსა და იმავე მოძრაობებს უსასრულოდ იმეორებს და ქარსა თუ წვიმას ამაოდ ელიდება.

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებაც შეცდომებისა და მცდარი წარმოდგენების მუდმივი გამეორებაა. ხან უსინათლო მეჩონგურებებით მთავრობის სახლის წინ, ხან ცრემლსადენი გაზით და ხანაც განვითნილი სპეცრაზმის შეუნიბავი სისასტიკით. მსხვერპლიც მუდამ ადგილზეა და ჯალათიც მზად არის. ისინი ერთმანეთის გარეშე ვერც იარსებებენ. ამიტომ დამცინავი სულაც არ ჟღერს, რომ თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვდა და 26 მაისს აღლუმის გადადება არ შეიძლებოდა...

ხომ შეიძლებოდა, „მეხსიერების ადგილის“ გეოგრაფია ერთხელ მაინც დაგვერღვია... მაგალითად, ხელისუფლებას დაეთმო და აღლუმი სადმესხვა ჩატარებინა. ამით ხომ იმ უდანაშაულოდ დალუბული მოქალაქეების სიცოცხლეს მაინც შევინარჩუნებდით. და ეს ბევრად დიდი მორალური გამარჯვება იქნებოდა ისედაც დისკრიმინაციებული ნინო ბურჯანაძის ამბიციებზე... რომელსაც სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2008 წელს ქვეყნის პრეზიდენტი „შეუპოვარ და რკინის ნინოს“ უწოდებდა. □



თალავი, ყვარელი, ლაგოდახი  
გორი, ქარელი, ხაშური  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურავი, ქობულეთი, გათამა  
ვოთი, სენავი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---